**ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**

# სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

## I თავი

## სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) **ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:**

(ათას ლარებში)

| დასახელება | 2023 წელის გეგმა | | | 2023 წელის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სუ ლ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთა რი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთა რი შემოსავლები | სახელმწ იფო ბიუჯეტის ფონდები |
| **I. შემოსავლები** | **34905,8** | **18833,8** | **16072,0** | **34941,7** | **18888,6** | **16053,1** |
| გადასახადები | **16383,2** | **16383,2** | **0,0** | **16372,9** | **16372,9** | **0,0** |
| გრანტები | **16812,0** | **740,0** | **16072,0** | **16793,1** | **740,1** | **16053,1** |
| სხვა შემოსავლები | **1710,6** | **1710,6** | **0,0** | **1775,7** | **1775,7** | **0,0** |
| | | | | | | |
| **II. ხარჯები** | **19376,1** | **16992,4** | **2383,8** | **18006,6** | **15703,5** | **2303,0** |
| შრომის ანაზღაურება | 3478,1 | 3478,1 | 0,0 | 3173,9 | 3173,9 | 0,0 |
| საქონელი და მომსახურეობა | 2945,0 | 2086,2 | 858,9 | 2659,1 | 1851,2 | 807,9 |
| პროცენტი | 35,0 | 35,0 | 0,0 | 18,8 | 18,8 | 0,0 |
| სუბსიდიები | 9288,5 | 9288,5 | 0,0 | 8733,7 | 8733,7 | 0,0 |
| გრანტები | 80,0 | 80,0 | 0,0 | 80,0 | 80,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1201,2 | 1201,2 | 0,0 | 1188,8 | 1188,8 | 0,0 |
| სხვა ხარჯები | 2348,4 | 823,5 | 1524,9 | 2152,4 | 657,2 | 1495,2 |
| | | | | | | |
| **III. საოპერაციო სალდო** | **15529,6** | **1841,4** | **13688,3** | **16935,1** | **3185,1** | **13750,0** |
| | | | | | | |
| **IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **20752,2** | **6889,3** | **13863,0** | **19121,4** | **5423,6** | **13697,8** |
| ზრდა | 21002,2 | 7139,3 | 13863,0 | 19485,4 | 5787,6 | 13697,8 |
| კლება | 250,0 | 250,0 | 0,0 | 364,0 | 364,0 | 0,0 |
| **V. მთლიანი სალდო** | **-5222,6** | **-5047,9** | **-174,7** | **-2186,3** | **-2238,5** | **52,2** |
| | | | | | | |
| **VI. ფინანსური აქტივების ცვლილება** | **-5273,9** | **-5099,2** | **-174,7** | **-2237,6** | **-2289,9** | **52,2** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ზრდა** | **0,0** | **0,0** | | **226,9** | **0,0** | **226,9** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0,0 | 0,0 | | 226,9 | | 226,9 |
| სესხები | | | | | | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | | | | | |
| **კლება** | **5273,9** | **5099,2** | **174,7** | **2464,6** | **2289,9** | **174,7** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 5273,9 | 5099,2 | 174,7 | 2464,6 | 2289,9 | 174,7 |
| სესხები | | | | | | |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | | | | | |
| | | | | | | |
| **VII. ვალდებულებების ცვლილება** | **-51,3** | **-51,3** | **0,0** | **-51,3** | **-51,3** | **0,0** |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საგარეო | | | | | | , |
| საშინაო | | | | | | |
| კლება | 51,3 | 51,3 | 0,0 | 51,3 | 51,3 | 0,0 |
| საგარეო | | | | | | |
| საშინაო | | | | | | |
| | | | | | | |
| **VIII. ბალანსი** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** |

**2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან**

(ათას ლარებში)

| დასახელება | 2023 წელი გეგმა | | | 2023 წელი ფაქტი | | | შესრულების პროცენტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| **შემოსულობები** | **35155,8** | **19083,8** | **16072,0** | **35305,6** | **19252,6** | **16053,1** | **100,4** | **100,9** | **99,9** |
| შემოსავლები | 34905,8 | 18833,8 | 16072,0 | 34941,7 | 18888,6 | 16053,1 | 100,1 | 100,3 | 99,9 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 250,0 | 250,0 | 0,0 | 364,0 | 364,0 | | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | | | | | | | | |
| **გადასახდელები** | 40429,7 | 24183,0 | 16246,7 | 37543,3 | 21542,5 | 16000,8 | 92,9 | 89,1 | 98,5 |
| ხარჯები | 19376,1 | 16992,4 | 2383,8 | 18006,6 | 15703,5 | 2303,0 | 92,9 | 92,4 | 93,6 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 21002,2 | 7139,3 | 13863,0 | 19485,4 | 5787,6 | 13697,8 | 92,8 | 81,1 | 98,8 |
| ვალდებულებების კლება | 51,3 | 51,3 | | 51,3 | 51,3 | | 100,0 | 100,0 | |
| **ნაშთის ცვლილება** | **-5273,9** | **-5099,2** | **-174,7** | **-2237,6** | **-2289,9** | **52,2** | **42,4** | **44,6** | |

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა **35155,8** ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **35305,7**ათასი ლარი, ანუ გეგმის 101,4%







**ა) საგადასახადო შემოსავლები**

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 34905,8 ათასი ლარი, ფაქტიურად 34941,7 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 100,1% და მთლიანი შემოსულობების – 99,0% შეადგინა.

- ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1712,0 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 1063,7 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 37,0 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან – 611,2 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი 612,4 ათასი ლარი) შედარებით 116,2 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული.




- დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 14660,9 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი – 13027,6 ათასი ლარი) შედარებით 1633,3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

**ბ) გრანტები**

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 16793,1 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები – 0,05 ათასი ლარი, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები – 16783,065 ათასი ლარი, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 1147,861 (მ.შ მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე 807.861 ათ. ლარი) ათასი ლარი; სხვა მიმდინარე გარანტები (სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებზე კომპენსაციის გასაცემად) 208,0 ათასი ლარი; სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) – 4668,293 ათასი ლარი (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის); კაპიტალური 10368,911 ათასი ლარი (მ.შ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის 9630,7411 ათ.ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის 738,2 ათ.ლარი); სხვა კაპიტალური ხარჯები 400,0ათ.ლარი.




**გ) სხვა შემოსავლები.**

სხვა შემოსავლების გეგმა 1710,6 ათ. ლარია, ფაქტიურმა შესრულებამ 1775,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 103,8%–ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი – 2071,5 ათასი ლარი) შედარებით 295,8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

მათ შორის:

**პროცენტების** სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 333,6 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი - 275,8 ათასი ლარი) შედარებით 57,8 ათასი ლარით მეტია.

**რენტის** სახით მობილიზებულია 254,2 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 219,2 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 35,0 ათასი ლარი.

**ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან** მიღებულია 95,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (85,0 ათასი ლარი) 112,3%-ია. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 59,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (50,0 ათასი ლარი) 118,9%-ია.

**დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 59,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (50,0 ათასი ლარი) 102,8%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (58,1 ათასი ლარი) შედარებით 1,3 ათასი ლარით მეტია.

**მომსახურების გაწევიდან მიმდინარე** პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 50,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (9,1 ათასი ლარი) 549,0%-ია.

**სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)** მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 997,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (1004,0 ათასი ლარი) 99,3%-ია და 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1382,3 ათასი ლარი) შედარებით 385,2 ათასი ლარით ნაკლებია.

**ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული** შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 45,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (50,0 ათასი ლარი) 90,8%-ია.

**დ) არაფინანსური აქტივების კლებიდან** მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 364,0 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 58,6 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 305,4 ათასი ლარი.

| დასახელება | 2023 წლის გეგმა | 2023 წლის ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **250,0** | **364,0** | **145,6** |
| **ძირითადი აქტივები** | **100,0** | **58,6** | **58,6** |
| შენობა ნაგებობები | 100,0 | 58,6 | 58,6 |
| **არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან** | **150,0** | **305,4** | **203,6** |
| შემოსულობა მიწის გაყიდვიდან | 150,0 | 305,4 | 203,6 |




### დ) ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით.

| დასახელება | 2023 წელი გეგმა | | | 2023 წელი ფაქტი | | | შესრულების პროცენტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| შრომის ანაზღაურება | 3478,1 | 3478,1 | | 3173,9 | 3173,9 | 0,0 | 91,3 | 91,3 | |
| საქონელი და მომსახურეობა | 2945,0 | 2086,2 | 858,9 | 2659,1 | 1851,2 | 807,9 | 90,3 | 88,7 | 94,1 |
| პროცენტი | 35,0 | 35,0 | | 18,8 | 18,8 | | 53,7 | 53,7 | |
| სუბსიდიები | 9288,5 | 9288,5 | 0,0 | 8733,7 | 8733,7 | 0,0 | 94,0 | 94,0 | |
| გრანტები | 80,0 | 80,0 | 0,0 | 80,0 | 80,0 | | 100,0 | 100,0 | |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1201,2 | 1201,2 | 0,0 | 1188,8 | 1188,8 | 0,0 | 99,0 | 99,0 | |
| სხვა ხარჯები | 2348,4 | 823,5 | 1524,9 | 2152,4 | 657,2 | 1495,2 | 91,7 | 79,8 | 98,1 |
| **ხარჯები** | **19376,1** | **16992,4** | **2383,8** | **18006,6** | **15703,5** | **2303,0** | **92,9** | **92,4** | **96,6** |

### ე) არაფინანსური აქტივების ზრდა

| დასახელება | 2023 წლის გეგმა | 2023 წლის ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| ძირითადი აქტივები | 21002,2 | 19485,4 | 92,8 |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **21002,2** | **19485,4** | **92,8** |

**არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:**

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2023 წლის გეგმა | 2023 წლის ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი | 494,0 | 409,9 | 83,0 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 19459,3 | 18266,1 | 94,8 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 19,8 | 15,9 | 80,4 |
| 04 00 | განათლება | 0 | 0 | 0 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 1017,6 | 782,0 | 76,8 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 11,5 | 11,5 | 100 |

### ზ) ვალდებულებები

| დასახელება | 2023 წლის გეგმა | 2023 წლის ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| საშინაო კრედიტორები | 51,342 | 51,342 | 51,342 |
| **ვალდებულების კლება** | **51,342** | **51,342** | **51,342** |

ვალდებულების კლება წარმოადგენს სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდთან მუნიციპალიტეტში ნაგვის გადაზიდვისთვის განკუთვნილი მანქანებისთვის 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაფარვას.

**სესხების მომსახურება და დაფარვა,** სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 86,3 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (86,3 ათასი ლარი) 100%-ია. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 34,958 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 51,342 ათასი ლარი.

აღნიშნული წარმოადგენს.

### თ) ფინანსური აქტივების ცვლილება

| ფინანსური აქტივების ცვლილება | 2023წლის გეგმა | 2023 წლის ფაქტიური შესრულება |
|---|---|---|
| **ზრდა** | **0,000** | **226,9** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0,000 | 226,9 |
| **კლება** | **5273,940** | **2464,6** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 5273,940 | 2464,6 |




### ი) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა საბიუჯეტო სახსრების ნაშთი 3602,4 ათასი ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთია 740,8 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლების ნაშთია 2861,6 ათასი ლარი, მათ შორის: კრედიტორული დავალიანების დასაფარი 1918,3 ათასი ლარი, ხოლო თავისუფალი ნაშთია 943, 3 ათასი ლარი.

| № | დასახელება | ნაშთი 2023 წლისა 1 იანვრისათვის |
|---|---|---|
| 1 | საქართველოს მთავრობის 2017 წლის 06.07 #1394 განკარგულება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიება | 3,9 |
| 2 | საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24.10 #1951 განკარგულება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიება | 43,1 |
| 3 | საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12.02.#215 განკარგულება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიება | 4,3 |
| | საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15.03. #557 განკარგულება სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამა | 142,0 |
| | საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18.01.#136 განკარგულება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტი | 71,1 |
| | საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31.12 #2577 განკარგულება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტი | 243,3 |
| | საქართველოს მთავრობის 22.02.2019 წლის #45 განკარგულება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 0,6 |
| | საქართველოს მთავრობის 31.12.2019 წლის #2752 განკარგულება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 42,9 |
| | საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18.12. #2630 განკარგულება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტი | 26,9 |
| | საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31.12.#2685 განკარგულება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტი | 83,1 |
| | საქართველოს მთავრობის 05.02.2021 წლის #168 განკარგულება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 49,6 |
| | ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტებში saqართველოს მთავრობის 2021 წლის 04.02 #147 gankარგულება | 0,7 |
| | საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის #277 gankარგულება, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 23,6 |
| | საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის #131 gankარგულება, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების მიზნით | 5,8 |
| | **სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთია** | 740,8 |
| | **საკუთარი შემოსავლების ნაშთია** | 1918,3 |
| | **თავისუფალი ნაშთია** | 943, 3 |
| | **სულ 01.01.2024 წლის მდგომარეობით ნაშთი** | 3602,4 |

კ) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით:

| ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი | დასახელება | 2023 წლის გეგმა | 2023 წლის ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| **7,1** | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **5515,6** | **4913,6** | **89,1** |
| 7.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 5345,8 | 4843,5 | 90,6 |
| 7.1.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 5345,8 | 4843,5 | 90,6 |
| 7.1.6 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 88,7 | 70,1 | 79,1 |
| 7.1.8 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 81,2 | 0,0 | 0,0 |
| **7.2** | **თავდაცვა** | **144,1** | **118,3** | **82,1** |
| 7.2.5 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში | 144,1 | 118,3 | 82,1 |
| **7.4** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **12969,4** | **12615,7** | **97,3** |
| 7.4.2 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 11,6 | 11,6 | 100,0 |
| 7.4.2.1 | სოფლის მეურნეობა | 11,6 | 11,6 | 100,0 |
| 7.4.5 | ტრანსპორტი | 10961,8 | 10947,3 | 99,9 |
| 7.4.5.1 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 10961,8 | 10947,3 | 99,9 |
| 7.4.7 | ეკონომიკის სხვა დარგები | 146,8 | 37,5 | 25,5 |
| 7.4.7.3 | ტურიზმი | 146,8 | 37,5 | 25,5 |
| 7.4.9 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში | 1849,2 | 1619,3 | 87,6 |
| **7.5** | **გარემოს დაცვა** | **6708,0** | **6113,9** | **91,1** |
| 7.5.1 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 1149,0 | 934,6 | 81,3 |
| 7.5.6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში | 5559,0 | 5179,3 | 93,2 |
| **7.6** | **საბინაო-კომუნალური მეურნეობა** | **5305,7** | **4339,4** | **81,8** |
| 7.6.1 | ბინათმშენებლობა | 209,6 | 200,3 | 95,6 |
| 7.6.4 | გარე განათება | 1277,1 | 1210,6 | 94,8 |
| 7.6.6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 3819,1 | 2928,5 | 76,7 |
| **7.7** | **ჯანმრთელობის დაცვა** | **872,7** | **869,6** | **99,6** |
| 7.7.1 | სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები | 103,2 | 102,3 | 99,1 |
| 7.7.1.1 | ფარმაცევტული პროდუქცია | 103,2 | 102,3 | 99,1 |
| 7.7.2 | ამბულატორიული მომსახურება | 3,5 | 3,5 | 100,0 |
| 7.7.2.1 | ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება | 3,5 | 3,5 | 100,0 |
| 7.7.3 | საავადმყოფოების მომსახურება | 503,3 | 503,1 | 100,0 |
| 7.7.3.1 | ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება | 503,3 | 503,1 | 100,0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.7.4 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 262,7 | 260,7 | 99,2 |
| **7.8** | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **4096,7** | **3782,8** | **92,3** |
| 7.8.1 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 1348,0 | 1335,3 | 99,1 |
| 7.8.2 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1763,3 | 1749,4 | 99,2 |
| 7.8.3 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 50,0 | 50,0 | 100,0 |
| 7.8.4 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 100,0 | 100,0 | 100,0 |
| 7.8.6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების. კულტურისა და რელიგიის სფეროში | 835,3 | 548,0 | 65,6 |
| **7.9** | **განათლება** | **3687,7** | **3668,0** | **99,5** |
| 7.9.1 | სკოლამდელი აღზრდა | 2724,1 | 2721,7 | 99,9 |
| 7.9.2 | ზოგადი განათლება | 867,9 | 866,4 | 99,8 |
| 7.9.2.3 | საშუალო ზოგადი განათლება | 867,9 | 866,4 | 99,8 |
| 7.9.8 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 95,7 | 79,9 | 83,5 |
| **7.10** | **სოციალური დაცვა** | **1129,8** | **1122,1** | **99,3** |
| **7.10.1** | **ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა** | **55,2** | **55,2** | **100,0** |
| **7.10.1.1** | **ავადმყოფთა სოციალური დაცვა** | **55,2** | **55,2** | **100,0** |
| **7.10.4** | **ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა** | **261,2** | **261,2** | **100,0** |
| **7.10.9** | **სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში** | **813,5** | **805,7** | **99,0** |
| | **სულ** | **40429,7** | **37543,3** | **92,9** |

**სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში**

(ათას ლარებში)

| დასახელება | 2023 წელი | |
|---|---|---|
| | საკასო შესრულება | შესრულების % |
| საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 4913,6 | 13,1 |
| თავდაცვა | 118,2 | 0,3 |
| ეკონომიკური საქმიანობა | 12615,7 | 33,6 |
| გარემოს დაცვა | 6113,9 | 16,3 |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 4339,4 | 11,6 |
| ჯანმრთელობის დაცვა | 869,6 | 2,3 |
| დასვენება, კულტურა და რელიგია | 3782,8 | 10,1 |
| განათლება | 3668,0 | 9,7 |
| სოციალური დაცვა | 1122,1 | 3,0 |
| **სულ** | **37543,3** | **100,0** |




კ.ა) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 4913,6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (5515,6 ათასი ლარი) 89,1%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 13,1%-ს შეადგენს.

მათ შორის:

- ➢ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 4843,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (5345,8 ათასი ლარი) 90,6%-ია;
- ➢ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში გეგმა 88,6 ათასი ლრია (ფაქტი 70,1) .

კ.ბ) თავდაცვა (სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური) საკასო შესრულებამ შეადგინა 118,3 ათასი ლრი, რაც გეგმის (144,1 ათასი ლარი) 82,1%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 12969,4 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 12615,7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97,3%,

მათ შორის:

- ➢ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 10947,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (10961,8 ათასი ლარი) 99,9%;
- ➢ ტურიზმის დაფინანსებამ შეადგინა 37,5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (146,8 ათასი ლარი) 25,5%;
- ➢ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 1619,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (1849,2 ათასი ლარი) 87,6%-ს შეადგენს.

კ.გ) გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 6113,9 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 6708,0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91,1%,

მათ შორის:

- ➢ ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება -934,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1149,0 ათასი ლარი) 81,3%-ია;
- ➢ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 5179,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (5559,0 ათასი ლარი) 93,2%-ს შეადგენს.

  მათ შორის:

  - ქალაქის მწვანე საფარის შექმნა და არსებულის მოვლა პატრონობა დაფინანსებამ შეადგინა 437,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (650,0 ათასი ლარი) 67,3%-ს შეადგენს.

- უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია დაფინანსდა 20,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (20,0 ათასი ლარი) 100%-ია.

- სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია დაფინანსებამ შეადგინა 4721,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (4888,0 ათასი ლარი) 100,0%-ს შეადგენს.

**კ.დ) საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 5305,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 4339,4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 81,8%,**

მათ შორის:

- ბინათმშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 200,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (209,6 ათასი 95,6%-ს შეადგენს;
- გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 1210,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1277,1 ათასი ლარი) 94,8%-ს შეადგენს;
- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 2928,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (3819,1 ათასი ლარი) 76,7%-ს შეადგენს.

მათ შორის:

- სასაფლაოების მოვლა-პატრონობის დაფინანსებამ შეადგინა 110,1 ათასი ლარი, რაც გ ეგმის (158 ათასი 69,37%-ს შეადგენს;
- კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 2726,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (3511,1 ათასი 77,7%-ს შეადგენს
- სამოქალაქო ბიუჯეტის დაფინანსებამ შეადგინა 91,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (150,0 ათასი ლარი) 61,2%-ს შეადგენს.

**კ.ე) ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 872,7 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 869,6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,6%,**

მათ შორის:

- სამედიცინო პროდუქციის (მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება) დაფინანსებამ შეადგინა 102,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (103,2 ათასი ლარი) 99,2%;
- ამბულატორიული მომსახურების ( დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა) დაფინანსებამ შეადგინა 3,5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (3,5 ათასი ლარი) 100%;
- საავადმყოფოების მომსახურების (ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსების და თანადაფინანსების პროგრამა) დაფინანსებამ შეადგინა 503,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (503,3 ათასი ლარი) 99,9%;
- საზოგადოებრი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 260,7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (262,7 ათასი ლარი) 92,3%;

**კ.ვ) დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 4096,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3782,8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92,3%,** ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 10,1%

**. მათ შორის:**

- მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 1335,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1348,0 ათასი ლარი) 99,1%;
- მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 2273,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (2566,4ათასი ლარი) 88,6%-ს შეადგენს;
- ტელემაუწყებლობა და და საგამომცემლო საქმე დაფინანსებამ შეადგინა 50,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (50,0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს.
- რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა დაფინანსებამ შეადგინა 100,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (100,0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს.
- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 24,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (32,3 ათასი ლარი) 75,3%-ს შეადგენს.

**კ.ზ) განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 3687,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 3668,0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,5%,** ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 99%.

**მათ შორის:**

- სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 2721,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (2724,1 ათასი ლარი) 99,79%-ს შეადგენს;

- ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 866,4ათასი ლარი, რაც გეგმის (867,9 ათასი ლარი)

99,8%-ს შეადგენს;

- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 79,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (95,7 ათასი ლარი) 82,4%-ს შეადგენს.

**კ.თ) სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 1129,8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1122,0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,3%,** ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 99,3%.

მათ შორის:

- ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 55,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (55,2 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 261,2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (261,2 ათასი ლარი) 100%,

  მათ შორის:

  - მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 239,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (239,2 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;
  - ბავშვებზე ზრუნვის პროგრამა დაფინანსებამ შეადგინა 21,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (21,9 ათასი ლარი) 99,5%-ს შეადგენს;
- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 805,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (813,5 ათასი ლარი) 99,0%-ს შეადგენს.
  - მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 365,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (370,0 ათასი ლარი) 98,8%-ს შეადგენს;
  - კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 14,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (15,8 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;
  - აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია დაფინანსებამ შეადგინა 66,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (66,1 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;
  - ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დახმარების პროგრამა დაფინანსებამ შეადგინა 28,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (28,5 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;
  - სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის ღონისძიებების გატარების პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 38,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (38,3 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;
  - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 119,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (119,0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;
  - სოციალური ღონისძიებების პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 41,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (41,4 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;
  - დღის ცენტრ ა(ა)იპ "ლაზარე- 2015" თანადაფინანსება დაფინანსებამ შეადგინა 8,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (8,0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;
  - პროექტი "საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის" თანადაფინანსების პროგრამა დაფინანსებამ შეადგინა 36,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (36,7 ათასი ლარი) 99,9%-ს შეადგენს;
  - პროექტი "ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე" თანადაფინანსების პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 79,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (79,7 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;
  - საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ADOS –ის კვლევა დანერგვა მუნიციპალიტეტში დაფინანსებამ შეადგინა 8,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (10,0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

## II თავი

## სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულების შესახებ

2023 წელს გადასახდელების შესრულების 92,9 %-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებელზე (83,3 %) მეტია, ხოლო თანხობრივად (2022 წელთან-23483,3ათ.ლარი) შედარებით დახარჯულია (37543,3 ათ.ლარი) 14060,0 ათასი ლარით მეტი.




**პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:**

| ხარჯების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| **პროგრამული კოდი** | **დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა** | **2023 ფაქტი** | **%** |
| **სულ** | **მუნიციპალიტეტის ასიგნებები** | **37543,3** | **100.0** |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 5031,9 | 13,4 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 21676,8 | 57,7 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1392,2 | 3,7 |
| 04 00 | განათლება | 3668,0 | 9,8 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 3782,8 | 10,1 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1991,6 | 5,3 |

- ინფრასტრუქტურა - 21676,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (23164,2 ათასი ლარი) 93,6%-ია
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები- 5031,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (5659,7 ათასი ლარი) 88,9%-ია.
- დასუფთავება და გარემოს დაცვა 1392,2 ათასი ლარით, რაც გეგმის (1819,0 ათასი ლარი) 76,5%-ია;
- განათლება 3668,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (3687,7 ათასი ლარი) 99,5%-ია;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 3782,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (4096,8 ათასი ლარი) 92,3%-ია;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 1991,6 ათასი ლარით, რაც გეგმის (2002,5 ათასი ლარი) 99,5%-ია;




1) **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები- 5031,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (5659,7 ათასი ლარი) 88,9%-ია.**

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები:

ა) მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 1432,5 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 3411,0 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვის, მობილიზაციისა და გაწვევის სამსახური (დელეგირებული ფუნქცია) – 118,3 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერით დაფინანსდა 106,1 ათასი ლარი)

ბ) საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-100,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გამოყოფილი 18,825 ათასი ლარიდან გახარჯულია 18,085 ათასი ლარი, მათ შორის: სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წლის 11-13 იანვარს სტიქიის (ქარიშხალი) შედეგად ზარალი მიადგა საჯარო სკოლების სახურავებს. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მათი დროებით გადახურვის მიზნით განხორციელდა ბრეზენტის შეძენა-0,960 ათასი ლარის; ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე რიონზე მოძრავი მებორნეებისა და მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამაშველო კამერისა და ჟილეტის შესაძენად-1,925 ათასი ლარი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე, მკვეთრად შეზღუდული სტატუსით, ჟანგბადის აპარატის- კონცენტრატორის შესაძენად-1,5 ათასი ლარი; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული წერილის საფუძველზე, მოქალაქე მუშიკო ჩიჩუას დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების მიზნით-0,5 ათასი ლარი; შშმ პირთათვის განკუთვნილი მექანიკური სავარძელ ეტლის შეძენაში დახმარება-0,9 ათასი ლარი; მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ბავშვიან ოჯახებზე, მარტოხელა ხანდაზმულებზე და შშმ პირებზე დახმარების მიზნით-12,300 ათასი ლარი;

| 2023 წლის ბიუჯეტით განსაზრვრული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ბრძანების თარიღი და ნომერი | კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალი თუ რა მიზნით იქნა გამოყოფილი თანხა | ბრძანებით გამოყოფილი თანხა | გადარ იცხული თანხა |
| | №ბ40. 40230236; 23.01.2023 წელი | სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წლის 11-13 იანვარს სტიქიის (ქარიშხალი) შედეგად ზარალი მიადგა საჯარო სკოლების სახურავებს. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მათი დროებით გადახურვის მიზნით ბრეზენტის შეძენა. | 1,000 | ,960 |
| | №ბ40. 4023040001 09.02.2023 წელი | ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე რიონზე მოძრავი მებორნეებისა და მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამაშველო კამერისა და ჟილეტის შესაძენად. | 1,925 | 1,925 |
| | №ბ40. 40231933; 12,07.2023 წელი | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე , მკვეთრად შეზღუდული სტატუსით, ჟანგბადის აპარატის-კონცენტრატორის შესაძენად | 1,500 | 1,5 00 |
| | №40.40231995 18.02.2023 წელი | შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული წერილის საფუძველზე, მოქალაქე მუშიკო ჩიჩუას დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების მიზნით | 0,500 | 0,5 00 |
| | №ბ40. 4023355001 20.12.203 წელი | შშმ პირთათვის განკუთვნილი მექანიკური სავარძელ ეტლის შეძენაში დახმარება. | 0,900 | 0,900 |
| | №ბ40. 40233553; 21.12.2023 წელი | მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ბავშვიან ო ჯახებზე, მარტოხელა ხანდაზმულებზე და შშმ პირებზე დახმარების მიზნით | 13,000 | 12,3 00 |
| | | სულ: | 18,82 5 | 18,085 |

| სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ | | |
|---|---|---|
| ორაგნიზა ციული კოდი | დასახელება | გადახდა |
| **01 01 02** | **სენაკის მუნიციპალიტეტის მერია** | **13.700** |
| | **ჯამი** | **13.700** |
| **2..8** | **სხვა ხარჯები** | **13.700** |
| **02 06** | **კეთილმოწყობის ღონისძიებები** | **3.425** |
| | **ჯამი** | **1.925** |
| **2..2** | **საქონელი და მომსახურება** | **1.925** |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1.500 |

| | | |
|---|---|---|
| 02 08 | სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია | 0.960 |
| | ჯამი | 0.960 |
| 2..2 | საქონელი და მომსახურება | 0.960 |
| | სულ ჯამი | 18.085 |

| გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | კრედიტორის დასახელება | სულ სესხის ოდენობა 01.01.2023 წლის მდგომარეობით | 2023 წელს დაფარული სესხი | სულ დარჩენილი დავალიანება 01.01.2024 წლის თვის | მ.შ 2024 წელს გადასახდელი სესხის თანხა | სესხის აღების მიზანი | | სესხის დაფარვის საბოლოო თარიღი |
| 1 | მუნიციპალური განვითარების ფონდი | 154,032 | 51,342 | 102,690 | 51,342 | ნაგვის მანქანის შესყიდვა | 5 | 2026.28.04 |

## 2) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (02 00)

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 21676,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 93,6 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

| პროგრამული კოდი | პროგრამული კოდი | 2023 წლის გეგმა | 2023 წლის ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **23164,2** | **21676,8** | **93,6** |
| 02 01 | გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვა | 10961,8 | 10947,3 | 99,9 |
| 02 02 | გარე განათების რეაბილიტაცია | 1277,1 | 1210,6 | 94,8 |
| 02 03 | ბინათმშენებლობა | 209,6 | 200,3 | 95,6 |
| 02 04 | სოფლის მეურნეობის ღონისძიება | 11,6 | 11,6 | 100,0 |
| 02 05 | საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა | 610,0 | 577,0 | 94,6 |
| 02 06 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 3511,1 | 2726,6 | 77,7 |
| 02 07 | სასაფლაოების მოვლა-პატრონობა | 158,0 | 110,1 | 69,7 |
| 02 08 | სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია | 4889,0 | 4721,7 | 96,6 |
| 02 09 | ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 146,8 | 37,5 | 25,5 |
| 02 10 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 759,2 | 737,7 | 0,0 |
| 02 11 | სამოქალაქო ბიუჯეტი | 150,0 | 91,8 | 61,2 |
| 02 12 | რეგიონის განვითარების ფონდის თანადაფინანსება | 480,0 | 304,6 | 63,5 |




**ა) გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01)**

გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვაზე (პროგრამული კოდი 02 01) 2023 წელს გამოყოფილი იქნა 10961,8 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 10947,3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,9%-ია.

ბიუჯეტიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში საარჩაიოს ზედა სორტის დამაკავშირებელი გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით;
- ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში საოდიშარიოს უბანში გზის რეაბილიტაცია ;
- ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდიდან სტადიონამდე გზის მოწყობა ცემენტო ბეტონის საფარით;
- ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ მეორე ნოსირის საკირცხალიო საკერძაიოს უბანში გზის რეაბილიტაცია;
- ჭყონდიდელის ქუჩიდან ყოფილ გაზის კანტორამდე ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია;
- ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის საკილასონიოს უბანში გზის რეაბილიტაცია;
- ყოფილი 139-ე პროფტექნიკური სასწავლებლიდან, ახალსოფლისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია;
- მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ საგაბესკირიოს გზის ბეტონის საფარის მოწყობა;
- სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის ადმინისტრაციული ერთეულისა და ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;
- ს. შამათავას ქუჩის ბოლოში სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია;
- მშვიდობის ქუჩა #56 და #58 სახლებს შორის არსებული ღელეს ჯებირების რეაბილიტაცია;
- ეკის ადმინისტრაციული ერთეულში საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
- ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
- ალ.არჩაიას ქუჩის რეაბილიტაცია;

- შონიას ქუჩის რეაბილიტაცია;

- მეორე ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულში საბარკალაიოში გზის რეაბილიტაცია;

- სენაკში მშვიდობის ქუჩაზე ნატოჩაოს უბანში კიუვეტისა და ღელეს ჯებირების რეაბილიტაცია;
- ლეძაძამის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი ხიდიდან კვაუთის მიმართულებით გზის ცემენტო- ბეტონის საფარის მოწყობა;
- სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის გადახდა;
- ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ცემენტო ბეტონის საფარის მოწყობა;
- უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში ცემენტო ბეტონის საფარის მოწყობა;
- ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში ლესაჯაიეს უბანში გზის მოწყობა;
- ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში საბესელიოს უბანში გზის რეაბილიტაცია;
- მენჯის ადმინისტრაციული ერთეულისა და თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი (რეკა ბათარია) გზის მოასფალტება ჩიხებით;
- ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში გახომელას უბანში გზის რეაბილიტაცია;
- ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის ლეკირცხალიეს უბანში გზის რეაბილიტაცია და მილ ხიდების მოწყობა;
- გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან მარტვილის მუნიციპალიტეტის მიმართულებით არსებული გზის რეაბილიტაცია;
- ზანა ეწერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

2023 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში ქალაქად და სოფლად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა ასფალტობეტონის საფარის მოწყობა: ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდიდან სტადიონამდე გზის მოწყობა ცემენტო-ბეტონის საფარით 1575 გრძ.მ-ზე, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფ.მეორე ნოსირის საკირცხალიო-საკერძაიოს უბანში გზის რეაბილიტაცია 3854 გრძ.მ-ზე, ჭყონდიდელის ქუჩიდან ყოფილ გაზის კანტორამდე ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია 214 გრძ.მ-ზე, ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის საკილასონიოს უბანში გზის რეაბილიტაცია 3660 გრძ.მ-ზე, ყოფილი 139-ე პროფტექნიკური სასწავლებლიდან ახალსოფლისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია 1116 გრძ.მ-ზე, მენჯის ადმ.ერთეულის სოფ.საგაბესკირიოს გზის ბეტონის საფარის მოწყობა 720 გრძ.მ-ზე, სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის ადმინისტრაციული ერთეულისა და ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 4500 გრძ.მ-ზე, მენჯის ადმინისტრაციული ერთეულისა და თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი (რეკა-ბათარია) გზის მოასფალტება ჩიხებით 2008 გრძ.მ-ზე, ნოსირის ადმინიტრაციულ ერთეულში, საბესელიოს უბანში გზის რეაბილიტაცია 2446 გრძ.მ-ზე, ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, ლესაჯაიეს უბანში გზის მოწყობა 1457 გრძ.მ-ზე, უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში ცემენტო ბეტონის საფარის მოწყობა 1259 გრძ.მ-ზე, ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ცემენტო ბეტონის საფარის მოწყობა 1348 გრძ.მ-ზე, ზანა-ეწერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 3079 გრძ.მ-ზე, გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან მარტვილის მუნიციპალიტეტის მიმართულებით არსებული გზის რეაბილიტაცია 1907 გრძ.მ-ზე, ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის ლეკირცხალიეს უბანში გზის რეაბილიტაცია და მილხიდების მოწყობა 2044 გრძ.მ-ზე, ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში გახომელას უბანში გზის რეაბილიტაცია 2376 გრძ.მ-ზე.

**ბ) ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 02 03)**

ბინათმშენებლობაზე (პროგრამული კოდი 02 03) გამოყოფილი იქნა 209,6 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 200,3 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,6%-ია.

განხორციელდა სამუშაოები:

- მშვიდობის 214-ში საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა (2,5%);
- ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული 3 კორპუსის რეაბილიტაცია (2,5%);

**გ) სოფლის მეურნეობის ღონისძიება (პროგრამული კოდი 02 04)**

სოფლის მეურნეობის ღონისძიებაზე (პროგრამული კოდი 02 04) გამოყოფილი იქნა 11,6 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 11,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 100%-ია.

განხორციელა:

- სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით პროექტი " დამწყები მეფუტკრე" -ს ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მეფუტკრეობით დაინტერესებული მოწყვლადი კატეგორიებისათვის მეფუტკრეობასთან დაკავშირებული მომსახურეობა;
- აგროტური ადგილობრივი ფერმერებისა და სპეციალისტებისათვის პროგრამის მონაწილეობისათვის ტრანსპორტირების მომსახურება;
- აგროტური ადგილობრივი ფერმერებისა და სპეციალისტებისათვის პროგრამის მონაწილეობისათვის ტრანსპორტირების მომსახურება (სენაკი-თბილისი-გორი-ქარელი-სენაკი);
- თბილისობა 2023-ში სენაკის მუნიციპალიტეტის მონაწილეობის მისაღებად (შემოდგომის გამოფენა და მეგრული სამზარეულოს წარდგენა) საჭირო საკვების მიწოდება;
- ეგრისობის სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით ყველის პროდუქტების მიწოდება;

**დ) საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა (პროგრამული კოდი 02 05)**

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვაზე (პროგრამული კოდი 02 05) გამოყოფილი იქნა 610,0 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 577,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 94,6%-ია.

განხორციელდა საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა:

- მშენებლობების საზედამხედველო მომსახურება;
- საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- კლუბის შენობის დემონტაჟისთვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- გზების სარეაბილიტაციოდ საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- ექსპერტიზის ( შემოწმებების) ხარჯი;
- 2023 წლის 14-15 მაისს მოსული ძლიერი კოკისპირული წვიმით გამოწვეული წყალდიდობის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების (სანიაღვრე არხი, ხიდ -ბოგირი, ხიდი), ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ჯანჯღავების უბანში ჩაქცეული ხიდ- ბოგირის მოწყობა, ეკის ადმინისტრაციული ერთეულის საჯოლიოს უბანში დაზიანებული ხიდის რეაბილიტაცია, ალ არჩაიას ქუჩაზე სანიაღვრე არხზე გაბიონის მოწყობა,) საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- საბავშვო ატრაქციონის მოსაწყობად სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- გზების სარეაბილიტაციოდ საზედამხედველო მომსახურება
- სკვერის სარეაბილიტაციოდ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

**ე) კეთილმოწყობის ღონისძიებები(პროგრამული კოდი 02 06)**

კეთილმოწყობის ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02 06) გამოყოფილი იქნა 3511,1 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 2726,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 77,7%-ია.

განხორციელდა:

- კოსტავას და რუსთაველის ქუჩის კვეთაზე არსებული სანიაღვრე არხის ამოწმენდა;
- ცერცვაძის ქუჩის მეორე ჩიხის სანიაღვრე არხის მოწყობა რკინა-ბეტონით
- ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში იოანე ნათლისმცემლის ტაძრისკენ მიმავალ გზაზე დამცავი ჯებირების მოწყობა (მეორე ეტაპი);
- ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში იოანე ნათლისმცემლის ტაძრისკენ მიმავალ გზაზე დამცავი ჯებირების მოწყობა (მესამე ეტაპი);
- სილოვან შამათავას ქუჩის ბოლოში სანიაღვრე არხზე არსებული ჯებირის სარეაბილიტაციო სამუშაო;
- ვიდეოსათვალთვალო კამერების (სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი და ზოგადი ხედვის) მოვლა-პატრონობა;
- სტალინის ქუჩაზე ორსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ეზოს კეთილმოწყობა;
- საახალწლო მცირეფასიანი გასანათებელი ინვენტარების შეძენა, საახალწლო დეკორაციების დემონტაჟის პროდუქციის დასაწყობება, შეფუთვის ხარჯი ;
- წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური;
- სტიქიის შედეგად ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე რიონზე არსებული დაზიანებული ბორანის სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის საჭირო ამწეების და მათი ოპერატორების მომსახურება;

- ჭავჭავაძის ქუჩაზე ტრენაჟორის მოწყობა;

- ვაჩნაძის ქუჩის დასაწყისში მინი სპორტული მოედნის მოწყობა;
- რუსთაველის ქუჩაზე არსებულ კორპუსებზე წყალსადინარის მოწყობა;
- №2 ბაგა-ბაღის სახურავის რეაბილიტაცია;
- ავტობუსის შესყიდვა;
- ტრაქტორის შეძენა;
- ქ.სენაკი აკ. ელიავას ქუჩაზე საერთო საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა;
- ტექნო ჰაბთან კორპუსის უკანა ფასადის რეაბილიტაცია და სენაკი ჭავჭავაძის 37-ში საცხოვრებელი სახლის ფასადების რეაბილიტაცია;
- ქალაქის ქუჩების ორმული შეკეთება;
- სატვირთო ავტომობილის შეძენა;
- თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში გოლასკურის უბანში ხიდ ბოგირის მოწყობა;
- ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ისულაში სანიაღვრე არხის მოწყობა;
- ზემო ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსაცდელის მოწყობა;
- ლეძაძამის ადმინისტრაციულ ერთეულში ლეგოგიეს გზაზე დამცავი ბარიერის მოწყობა;
- რუსთაველისა და ნინოშვილის ქუჩის კვეთაზე მოსაცდელის რეაბილიტაცია;
- ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღში ჭაბურღილის მოწყობა;
- თაყაიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა;
- ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ კოტიანეთში ჩაქცეული ხიდ ბოგირის აღდგენა;
- ჭყონდიდელის ქუჩაზე არსებული ბანერის სარეაბილიტაციო სამუშაო;
- ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული ბანერის სარეაბილიტაციო სამუშაო;
- მშვიდობის ქუჩაზე მე-4 ბაგა ბაღის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა;
- სენაკის №1 ბაგა-ბაღის და სამზარეულოს შენობების ფასადების, ღობისა და სამზარეულოს სახურავის რეაბილიტაციაЖ
- ჟანგბადის კონცენტარტორის შეძენა;
- ლეძაძამის ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდ-ბოგირის მოწყობა და ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში ლეგაგუეს უბანში ხიდ-ბოგირის მოწყობა
- უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში თხილის საამქროსთან მისავლელი გზის ცემენტო ბეტონის საფარით მოწყობა;
- აგარაკის ქუჩის ბოლოში გზის მოწყობა ცემენტო-ბეტონის საფარით;
- ფურცელაძის ქუჩის მარჯვენა ჩიხის ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობა;
- თაყაიშვილის ქუჩის ზედა მონაკვეთის ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობა;
- სახელმწიფო ნომრის ამომცნობი კამერის შეძენა;
- ძვირად ღირებული ვიდეო სათვალთვალო კამერის შეძენა მონტაჟით ;
- ცერცვაძის ქუჩის მეორე ჩიხის სანილვრე არხის მოწყობა რკინა ბეტონით;
- ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში იოანე ნათლისმცემლის ტაძრისკენ მიმავალ გზაზე დამცავი ჯებირების მოწყობა (მეორე ეტაპი და მესამე ეტაპი;მცირეფასიანი წონის და სიმაღლის შემზღუდავი საგზაო ნიშნის შესყიდვა მონტაჟით ;
- მცირეფასიანი წონის და სიმაღლის შემზღუდავი საგზაო ნიშნის შესყიდვა მონტაჟით;
- მიკროავტობუსის შესყიდვა;
- სამშობიარო სახლის რეაბილიტაცია;
- დროშის შეძენა;
- ვიდეო სათვალთვალო კამერების მოვლა პატრონობა;
- სენაკი, ჭავჭავაძის №43-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის საყრდენი კედლის სარეაბლიტაციო სამუშაო;
- რუსთაველისა და ჭავჭავაძის ქუჩებზე განთავსებული მულტიფუნქციური ენერგოეფექტური სკამების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქუჩებში დამონტაჟებული ვიდეო სათვალთვალო სისტემის ელენერგიის გამანაწილებელ ქსელზე ახალ აბონენტად მიერთება;

**ვ) სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 07)**

სასაფლაოების მოვლა-პატრონობაზე (პროგრამული კოდი 02 07) გამოყოფილი იქნა 158,0 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 110,1 ათასი ლარით, რაც გეგმის 69,7%-ია.

ა(ა)იპ საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის მიერ სასაფლაოებზე შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები, კერძოდ, შხეფის, მენჯის [ï - 2] თეკლათის [ï - 2] ძმათა [ï - 2], საკალანდარიშვილოს სასაფლაოებზე მოხდა მოთიბვითი სამუშაოები რამოდენიმეჯერ. აგრეთვე, ყველა სასაფლაოზე შესრულდა ეკალ-ბარდებისა და ჩამოტეხილი ხის ტოტებისაგან გაწმენდა და გატანა.

სტიქიის შედეგად წაქცეული ხეების მოჭრა და მათი გატანა. გადაბელვა მოხდა ნოსირის, ზანის, მენჯის, ძმათა სასაფლაოებზე. 2023 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში არხები გაიჭრა მენჯის სასაფლაოზე 250 მეტრი და გაიწმინდა არხის მიმდებარე ტერიტორია ეკალ ბარდებისაგან.
თეკლათის სასაფლაოზე გაიჭრა არხი 500 მეტრი და გასუფდავდა არხის მიმდებარე ტერიტორია. აგრეთვე, გაიჭრა ახალი სამანქანო გზა და შსრულდა მოხრეშვა მოშანდაკების სამუშაო.
თეკლათის სასაფლაოზე არხებში ჩაიდო სანიაღვრე ჭა.
ყველა სასაფლაოებზე შხეფი, თეკლათი, მენჯი, ძმათა შესრულდა წინასწარი ეკალ-ბარდებისა და ხეებისაგან გაწმენდითი სამუშაოები შემოღობითვი სამუშაოების ჩასატარებლად.
2023 წელს რეგისტრაციაში გატარდა 139 დ/პირი შემოსულმა თანხამ შეადგინა 10448 ლარი.
2023 წლის საკუთარი შემოსავალი თვეების მიხედვით

| N | თვე | თანხა (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | იანვარი | 1102,5 |
| 2 | თებერვალი | 540 |
| 3 | მარტი | 960 |
| 4 | აპრილი | 510 |
| 5 | მაისი | 600 |
| 6 | ივნისი | 547,5 |
| 7 | ივლისი | 585 |
| 8 | აგვისტო | 758 |
| 9 | სექტემბერი | 795 |
| 10 | ოქტომბერი | 2520 |
| 11 | ნოემბერი | 735 |
| 12 | დეკემბერი | 795 |
| | ჯამი | 10448 |

2023 წელს რეგისტრირებული იქნა 139 დ/პირი.

**8) სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია (პროგრამული კოდი 02 08)**

სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაზე (პროგრამული კოდი 02 08) გამოყოფილი იქნა 4889,0 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 4721,7 ათასი ლარით, რაც გეგმის 96,6%-ია.

განხორციელდა:

1. 2023 წლის 11-13 იანვარს სტიქიის შედეგად დაზიანებული საჯარო სკოლის სახურავისთვის ბრეზენტი (ტენტი) შეძენა;
2. დაზიანებული მრავალსართულიანი და ინდივიდუალური სახლების სარეაბილიტაციოდ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
3. მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში სახარბედიოში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, ურიდიას ქუჩა 26-ში არსებული მრავალბინიანი სახლის და ცაგარელის ქუჩა 27-ში არსებული მრავალბინიანი სახლის გადახურვა;
4. ღელე-ფიცუ 2-ის დაზიანებული სანიაღვრე რკინა-ბეტონის ჯებირების აღდგენა-რეკონსტრუქცია ჩხეტიას ქუჩიდან რკინიგზამდე თავისი შენაკადებით;
5. სამხედრო ქალაქიდან თეკლათის მიმართულებით დაზიანებული რკინა-ბეტონის ჯებირების და ხიდ-ბოგირების აღდგენა რეკონსტრუქცია;
6. ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში სამხედრო ბაზასთან მდინარე ცივზე დაზიანებული ხიდის აღდგენა;
7. ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში საცხვიტაოს უბანში ხიდ ბოგირის აღდგენა;
8. ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელაში ლეგაგუეს უბანში ( სასაფლაოს გზა) რკინა ბეტონის ხიდის აღდგენა;
9. მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში საწულეისკირიოში ხიდ ბოგირის აღდგენა;
10. ღელე-ფიცუ 1-ის დაზიანებული საყრდენი კედლების აღდგენა -რეკონსტრუქცია თეფანის ქუჩიდან რკინიგზამდე თავისი შენაკადებით;

11. სამხედრო დასახლება 205-ში , 190_ში, 188-ში და ლვინჯილიას ქუჩა 5-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვა;
12. სამხედრო დასახდლება #202-ში, შალვა დადიანის #4-ში, აკაკი ელიავას #21-ში , ჭყონდიდელის #4-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა;
13. ახალსოფლის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაცია, მეორე ნოსირის კლუბის შენობის სახურავის რეაბილიტაცია, ნაფეტვარიძის ქ 1-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა, თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში ტყირში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა, რუსთაველის ქუჩა 126-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ზედა სართულის აივნების სახურავების რეაბილიტაცია, სტალინის ქუჩა 52-ში , ქიაჩელის ქუჩა 47-ში, ვაჩნაძის 3-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, თეკლათის საბავშვო ბაღის შენობის სახურავის რეაბილიტაცია, მენჯის და გეჯეთის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაცია, გეჯეთის ამბულატორიის შენობის სახურავის რეაბილიტაცია, ზანის და ძველი სენაკის საბავშვო ბაღის შენობის სახურავის რეაბილიტაცია, ლეძაძამის ადმინისტრაციული შენობის გადახურვა, მე-6 საბავშვო ბაღის შენობის სახურავის რეაბილიტაცია;
14. ღელე ფიცუს დაზიანებული რკინა ბეტონის ჯებირების აღდგენა რეკონსტრუქცია;
15. მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში ბათარიას უბანში ადმინისტრაციული სენობის წინ გზის აღდგენა;
16. მეშვიდე საჯარო სკოლიდან ტეხურამდე ტაბიძის ქუჩის გავლით სანიაღვრე არხის რკინა ბეტონის ჯებირის აღდგენა რეკონსტრუქცია;
17. ღედათა მონასტერთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაო;
18. დავით ღემურიას ქუჩიდან მდინარე ტეხურამდე სანიაღვრე არხის რკინა ბეტონის ჯებირის აღდგენა;
19. ქალაქისა და სოფლის გარე განათების ქსელების აღდგენა;
20. შოთა რუსთაველის ქუჩა 170 -ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის გადახურვა;
21. ქალაქ სენაკში ცაგარელის 25 -ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა;
22. ქალაქ სენაკში მშვიდობის ქუჩა 319 -ში მდებარე შენობის გადახურვა;
23. სენაკის მუნიციპალიტეტის ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა;
24. ჯიხას ქუჩიდან მდინარე ტეხურამდე სანიაღვრე არხების რკინა-ბეტონის ჯებირების აღდგენა -რეკონსტრუქცია თავისი შენაკადებით;
25. ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ჯანჯღავების უბანში ჩაქცეული ხიდ -ბოგირის მოწყობა;
26. ეკის ადმინისტრაციული ერთეულის საჯოლიოს უბანში დაზიანებული ხიდის რეაბილიტაცია;
27. ალ არჩაიას ქუჩაზე სანიაღვრე არხზე გაბიონის მოწყობა;
28. ასათიანის ქუჩიდან ტეხურამდე კოლხეთის ქუჩის გასწვრივ გამდინარე სანიაღვრე არხის რკინა ბეტონის აღდგენა რეკონსტრუქცია თავისი შენაკადებით;
29. მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში სახარბედიო- საგაბესკირიოს დამაკავშირებელი ბეწვის ხიდის სამაგრი ბურჯის გამაგრება;
30. ღელე ხაბაზეთისა და ცენტრალური კოლექტორის რკინა ბეტონის ჯებირების აღდგენა რეკონსტრუქცია თავისი შენაკადით;
31. სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი (კომპენსაცია).

**თ) ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა(პროგრამული კოდი 02 09)**

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე (პროგრამული კოდი 02 09) ) გამოყოფილი იქნა 146,8 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 37,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 25,5%–ია.

განხორციელდა:

- ა(ა)იპ სამეგრელო –ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის სუბსიდიური დაფინანსება;
- შუქმომფენი პროექტორების შეძენა.

**ი) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 10)**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე (პროგრამული კოდი 02 10) გამოყოფილი იქნა 759,2 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 737,7 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,2%–ია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- **ეკის ადმინისტრაციული ერთეული.**
  ეკის საჯარო სკოლის ეზოს ღობის რეაბილიტაცია;
- **ხორშის ადმინისტრაციული ერთეული.**
  სოფელ სადადიანოში, სოფელ პატარა ზანასა და შუა ხორშში გზის ბეტონის საფარის მოწყობა;
  სოფელ ციზეთში ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია.
- **ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეული.**
  ძველი სენაკის ცენტრში საბავშვო ატრაქციონისა (კლუბის ეზოში) და 2 ცალი ტრენაჟორის მოწყობა;
  სოფელ კოტიანეთში გარე განათების მოწყობა;
- **თეკლათის ადმინისტრაციული ერთეული.**
  სოფელ რეკაში ცხაურისა და ღობის მოწყობა;
  სოფელ საგვარამიოში ტრენაჟორების მოწყობა.
- **გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეული.**
  სასაფლაოს ღობის მოწყობა და სანიაღვრე არხის ამოწმენდა.
- **მენჯის ადმინისტრაციული ერთეული.**
  სპორტული ტრენაჟორების მოწყობა;
- **უშაფათის ადმინისტრაციული ერთეული.**
  გარე განათების მოწყობა.
- **ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეული.**
  ლეძაძამეს ცენტრში სკვერის მოწყობა;
  სოფელ ბეთლემში სკვერის მოწყობა.
- **ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეული.**
  ფოცხოში გარე განათების მოწყობა.
- **ზანის ადმინისტრაციული ერთეული**
  სოფელ ზანაში სასაფლაოს ღობის რეაბილიტაცია და განათების მოწყობა;
  სოფელ ეწერში გაბიონის მოწყობა;
  სოფ. საესებუოში 400მმ-იანი მილხიდისა და სანიაღვრე არხის მოწყობა;
  სოფელ საშურღაიოში 2 ც. 5მ-იანი ცხაურის მოწყობა;
  სოფ. სატყებუჩაოში 1ც. 5მ-იანი ცხაურისა და 4 ხიდ-ბოგირზე სათავისების მოწყობა.
- **ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეული.**
  სოფელ მუხურში სოფლის ცენტრში სკვერის მოწყობა;
  სოფელ მუხურში საბავშვო ბაღის ეზოში ატრაქციონის მოწყობა.
- **ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეული.**
  სოფელ ისულაში ჭაბურღილის კეთილმოწყობა 2 ლოკაციაზე;
  ცენტრალურ გზაზე გარე განათების მოწყობა.
- **ნოსირის ადმინისტრაციული ერთეული.**
  სოფელ ნოსირში საძოვრის შემოღობვა ეკლიანი მავთულით და გარე განათების მოწყობა;
  შუა ნოსირში საბავშვო ბაღის უკანა ღობის შემოკავება, ცენტრისა და სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

  სოფელ საბესელიოში ცხაურის რეაბილიტაცია და რკინიგზის გასწვრივ ღობის აღდგენა;
  სოფელ საკილასონიოში სანიაღვრე არხის ამოწმენდა და საძოვრის შემოღობვა;
  სოფელ საოდიშარიოში ხიდბოგირის მოწყობა და სასიმონიოს უბანში ცხაურის მოწყობა.
- **მეორე ნოსირის ადმინისტრაციული ერთეული.**
  გარე განათების მოწყობა
- **ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეული.**
  სოფელ გახომელაში გარე განათების მოწყობა;
  ჯიხას უბანში სკვერის კეთილმოწყობა;
  ჯიხას უბანში სასაფლაოს გზაზე კიუვეტის მოწყობა.

**კ) სამოქალაქო ბიუჯეტი (პროგრამული კოდი 02 11)**

სამოქალაქო ბიუჯეტზე (პროგრამული კოდი 02 11 ) გამოყოფილი იქნა 150,0 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 91,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 61,2%-ია.

განხორციელდა:

- ქ. სენაკში აღმაშენებლის ქუჩაზე ტროტუარის მოწყობა (2,5%);
- ამფითეატრის მოწყობა ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში (2,5%);
- გაზეთ კოლხეთის შენახული ეგზემპლიარის გაციფრულება;
- საბავშვო ატრაქციონის მოწყობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
- სენაკის მუნიციპალიტეტის სკვერებში ინტერნეტის ქსელების მოწყობა.

**ლ) რეგიონის ფონდის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 12)**

**რეგიონის ფონდის თანადაფინანსებაზე** (პროგრამული კოდი 02 12 ) გამოყოფილი იქნა 480,0 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 304,6ათასი ლარი, რაც გეგმის 77,2%-ია.

განხორციელდა :

- ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდიდან სტადიონამდე გზის მოწყობა ცემენტო ბეტონის საფარით;
- ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ მეორე ნოსირის საკირცხალიო საკერძაიოს უბანში გზის რეაბილიტაცია;
- ჭყონდიდელის ქუჩიდან ყოფილ გაზის კანტორამდე ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია;
- ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის საკილასონიო უბანში გზის რეაბილიტაცია;
- ყოფილი 139-ე პროფტექნიკური სასწავლებლიდან, ახალსოფლისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია;
- მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ საგაბესკირიოს გზის ბეტონის საფარის მოწყობა;
- სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის ადმინისტრაციული ერთეულისა და ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;
- ეკი-უშაფათის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;
- ვაჩნაძისა და აღმაშენებლის ქუჩების შემაერთებელი გზისა და ა ყაზბეგის ქუჩების რეაბილიტაცია;
- ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის საბოხუოს უბანში გზის რეაბილიტაცია;
- ჯიხას ქუჩის ბოლოში მარჯვენა და მარცხენა მხარეს გზის რეაბილიტაცია, ამავე ქუჩის ქვედა და შუა ნაწილში არსებული სანიაღვრე არხების და ჯებირების მოწყობა;
- ს. შამათავას ქუჩის ბოლოში სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია;
- მშვიდობის ქუჩა #56 და #58 სახლებს შორის არსებული ღელეს ჯებირების რეაბილიტაცია;
- მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში სალიპარტიოს უბანში გზის და ჩიხის რეაბილიტაცია;
- სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ კოტიანეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
- ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში საარჩაიოს უბანში გზის რეაბილიტაცია;
- ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულში, ე. წ სხივის ქუჩის წრის რეაბილიტაცია;
- ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში ლებაღათურეს უბანში გზის რეაბილიტაცია;
- შონიას ქუჩის რეაბილიტაცია,ხორავას ქუჩიდან ღელე ფიცუმდე;
- ვახტანგ მეფის ქუჩის რეაბილიტაცია;
- ქალაქში არსებული კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია: ცაგარელია #27, შოთა რუსთაველის #72 (მარჯვენა

  მხარე), შოთა რუსთაველის #72 (მარცხენა მხარე), ჭავჭავაძის #43, ჭავჭავაძის #41 (საბავშვო ბაღის ფასადი);
- ყოფილი მე-8 სკოლის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნების მოწყობა;
- ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ცემენტო ბეტონის საფარის მოწყობა;
- უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში ცემენტო ბეტონის საფარის მოწყობა;
- ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში ლესაჯაიეს უბანში გზის მოწყობა;
- მენჯის ადმინისტრაციული ერთეულისა და თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი (რეკა ბათარია) გზის მოასფალტება ჩიხებით;
- ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში გახომელას უბანში გზის რეაბილიტაცია;
- ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის ლეკირცხალიეს უბანში გზის რეაბილიტაცია და მილ ხიდების მოწყობა;
- გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან მარტვილის მუნიციპალიტეტის მიმართულებით არსებული გზის რეაბილიტაცია;
- ზანა ეწერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია

**3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)**

| პ როგრა მუ ლი კ ოდი | პროგრამის დასახელება | 2023 წლის გეგმა | 2023 წლის ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **1 819,0** | **13 92,2** | **76 ,5** |
| 03 01 | ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები, ნარჩენების გატანა | **1 149,0** | **93 4,6** | **81 ,3** |
| 03 02 | ქალაქის მწვანე საფარის შექმნა და არსებულის მოვლა პატრონობა | **6 50,0** | **43 7,6** | **67 ,3** |
| 03 03 | უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია | **2 0,0** | **20 ,0** | 10 0.0 |

**ა) ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები, ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01)**

ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები, ნარჩენების გატანაზე (პროგრამული კოდი 03 01) გამოყოფილი იქნა 1149,2 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 934,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 81,3%–ია.

ყოველდღიურად ხორციელდებოდა ა(ა)იპ საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის მიერ მეეზოვების, მუშა-მეეზოვებისა და მტვირთავების მიერ ქალაქის ცენტრალური ქუჩებისა და საჯარო სივრცეების [ტროტუარების, პარკების, სკვერების, მოედნების] დაგვა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგავის გატანა.. ყოველდღიურად იგვება 85000 კვ/მ ფართობი. ქალაქში სისუფთავის უკეთ უზრუნველყოფისათვის, დილის დაგვა-დასუფთავების შემდეგ, 4-მუშა-მეეზოვე მთელი სამუშაო დღის განმავლობაში ახდენს დაყრილი ნაგავის შეგროვებას და სისუფთავის დაცვას. გარდა ამისა 6-სპეც ნაგავმზიდითა და 1-თვითმცლელი სატვირთოთი. ხდება მყარი მუნიციპალური ნარჩენების გატანა, ზუგდიდის ნაგავსაყრელში, რაც ყოველდღიურად შეადგენს 70-75 კბ/მ საშუალოდ. წინა წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 60-65 კბ/მ-ს.

2023 წელს დამატებული იქნა 350 ცალი პლასმასის ურნა, მუნიციპალიტეტის ყველა სოფლებში დაიდგა ურნები, ათვისებულია მთლიანი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 80-85%.

მუნიციპალიტეტში განთავსებული ურნების საერთო რაოდენობა შეადგენს 608 ცალ ურნას, მათ შორის: ქალაქად 321 ცალი ურნა და სოფლებში კი 287 ცალი ურნა.

მიმდინარე წელს, მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისაგან საჩუქრად გადმოგვეცა 2 ცალი IVEGO- ს მარკის 1 3 კბ/მ მოცულობის სპეც ნაგავმზიდები და 3 ერთეული E IVEGO K0- ს მარკის მცირე ტვირთ ამწეობის ბორტიანი ავტომობილი. საერთო ჯამში ნაგავმზიდების საერთო რაოდენობა შეადგენს 6 ერთეულს, რაც კუბებში გამოისახება 86 კბ/მ ტვირთამწეობით.

2023 წელს გარემონტდა 32 ცალი დაზიანებული ურნა. გაზაფხულ, ზაფხულსა და შემოდგომის [დასაწყისის] პერიოდში, თვეში 1-ჯერ ხდება სანაგვე ურნების [1,1 კბ/მ მოცულობის] შეწამვლა-დაქლორვა. სატვირთო ნაგავმზიდებისას კი თვეში 2-ჯერ.

**ბ) ქალაქის მწვანე საფარის შექმნა და არსებულის მოვლა –პატრონობა (პროგრამული კოდი 03 01)**

ქალაქის მწვანე საფარის შექმნა და არსებულის მოვლა პატრონობაზე (პროგრამული კოდი 03 01)
გამოყოფილი იქნა 650,0 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 437,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 67,3%–ია.
განხორციელდა:

სანიაღვრე და საწრეტი არხების გაწმენდა მუშახელის მიერ. ქალაქის ქუჩებში: ჭყონდიდელი, ჭავჭავაძე, რუსთაველი, კოსტავას, წმინდა ნინოს, აკაკი ელიავას, მშვიდობის, აღმაშენებლის და სხვა შემოსული წერილების საფუძველზე. შეკეთდა დაზიანებული ცხაურები: მიწისქვეშა გასასვლელი, წერეთლის და ქურდოვანიძის ქუჩაზე ჭავჭავაძის კვეთასთან.

სანიაღვბრე არხების, ხიდბოგირების გაწმენდითი სამუშაოები ექსკავატორით: შოთა მესხიას სახელობის უნივერსიტეტის სენაკის ფილიალი და მოსახლეობას შორის გამავალი არხი, ურიდიას, ჭავჭავაძის, შვიდობის ქუჩებზე და თითქმის ყველა სოფლების

ადმინისტრაციულ ერთეულებში სანიაღვრე არხები ამოიწმინდა ტექნიკის ეშვეობით ექსკავატორით. მოშანდაკდა გრეიდერით შიდა სასოფლო გზები ხორშის, ზანას, ფოცხოს, უშაფათის, ზემო ჭალადიდის და ეკის ადმინისტრაციულ ერთეულებში.
სულ ექსკავატორით 3500 გრ/მეტრი სანიაღვრე არხი გაიწმინდა და გრეიდერით მოშანდაკდა შიდა სასოფლო გზები 13000 გრ/მეტრი. ქალაქის ცენტრალური ნაწილში არსებულ საპარკე სკამებზე შეიცვალა ხის ძელაკები, შეიღება და დამატებით მოეწყო სკამები ღვინჯილიას ქუჩაზე დევნილთა ჩასახლებაში. შეკეთდა ფეხით სავალ ბილიკზე დაზიანებული ბეტონის ფილები რუსთაველის, ჭავჭავაძის, წმინდა ნინოს და კოსტავას ქუჩებზე.

**გ) უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი 03 03)**

უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაციის მიზნით (პროგრამული კოდი 03 03) გამოყოფილი იქნა 20,0 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 20,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია.

განხორციელდა: მოხეტიალე უპატრონო ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

## 4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების ღონისძიებები 2023 წლის განმავლობაში დაფინანსდა 3668,0 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის – **3687,7** ათასი ლარი, **99,5** პროცენტია.




| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | 2023 წლის გეგმა | 2023 წლის ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| **04 00** | **განათლება** | **3687,7** | **3668,0** | **99,5** |
| 04 01 | სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა | **2724,1** | **2721,7** | **99,9** |
| 04 02 | საჯარო სკოლების დაფინანსება | **867,9** | **866,4** | **99,8** |
| 04 04 | განათლების ღონისძიებების პროგრამა | **85,7** | **70,6** | **82,4** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 04<br>06 | სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა | **10,0** | **9,3** | 93,0 |

**ა) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 01)**

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამაზე (პროგრამული კოდი 04 01) გამოყოფილი იქნა 2724,1 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 2721,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,9%-ია.

გნორციელდა:

ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში" ფუნქციონირებდა 27 საბავშვო ბაღი, ქალაქად- 10, სოფელად- 17, აღსაზრდელთა რაოდენობა - 936.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თანამშრომელთა რიცხოვნება შეადგენს 339. აქედან ს/ბ-ბაღებში-310, სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ადმინისტრაციაში -25, შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა 4. მდგომარეობით სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში ფუნქციონირებდა 27 ს/ბაღი, ქალაქად- 10 სოფელად- 17, აღსაზრდელთა რაოდენობა - 936. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომელთა რიცხოვნება შეადგენს 339. აქედან ს/ბ-ბაღებში-310 ,სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ადმინისტრაციაში -25, შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა 4.

შესრულდა ყველა საჭირო სამუშაო ბაღების კვებით მომარაგებისათვის, 2023 წლის იანვრის თვეში დამტკიცდა მენიუ, რომელიც ოთხჯერად კვებას ითვალისწინებდა. კვების თანხამ 1 აღსაზრდელზე შეადგინა 3,67 ლარი. გარკვეული სამუშაოები გატარდა იმისათვის, რომ გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღი მომარაგებულიყო საწვავი ხის (ბრიკეტის) მასალით, რომელიც დროულად განაწილდა ყველა ბაღში.

2023 წელს დაიწყო გაერთიანების N 3 ბაგა-ბაღის ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოები. მშენებლობას საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს მშენებლობის სავარაუდო ღირებულება 4,0 მლნ ლარამდეა და 2024 წელს სენაკში კიდევ ერთი თანამედროვე სტანდარტების აშენებული საბავშვო ბაღი გაიხსნება.

საკმაოდ წარმატებული იყო გაერთიანების საბავშვო ბაღების პედაგოგების მონაწილეობა რესპუბლიკურ კონკურსებში „მწვანე ჯილდო", რომელიც გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული. მასში გაერთიანების სამმა პედაგოგმა მიიღო მონაწილეობა, მათ წარმატებით გაიარეს კონკურსის ყველა ტური, ხოლო ერთი მათგანი გადავიდა ფინალურ ტურნირში და დასახელდა წლის საუკეთესო პედაგოგთა ათეულში.

2023 წლის მაის-ივნისის თვეში განათლების სამინისტროს მიერ დაგეგმილი ბაღების ავტორიზაციის თვითშეფასების ეტაპი გაიარა გაერთიანების 27-ე საბავშვო ბაღმა. შესრულდა საკმაოდ მოცულობითი სამუშაო, დეტალურად იქნა აღწერილი ამ ეტაპზე ბაღებში არსებული სიტუაცია, შეფასდა საალმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობა და მისთვის საჭირო რესურსის დღევანდელი მდგომარეობა, გაიწერა პრობლემების აღმოფხვრის გზები და ვადები.

საკმაოდ დატვირთული იყო გაერთიანების ბაგა-ბაღები საინტერესო, შემეცნებითი და სპორტული აქტივობებით შემოდგომისა და წინასაახალწლო პერიოდში. ჩატარდა აქტივობები თემებზე ბიომრავალფეროვნება, ჰაბიტატი, შემოდგომა, თემატური აქტივობა მშობლების ჩართულობით, ღიმილის დღე და მხიარული თამაშები. მხიარულ თამაშებში გაერთიანების 12 ბაღმა მიიღო მონაწილეობა, თამაშებში ჩართული იყო, როგორც ქალაქის ასევე სოფლის საბავშვო ბაღები, ხოლო თამაშების ჩატარების ერთ-ერთ ადგილად შეირჩა კოტიანეთის საბავშვო ბაღი.

წარმატებული და საინტერესო იყო საახალწლო და საშობაო აქტივობები გაერთიანების ბაგა-ბაღებში. გაერთიანების 936 აღსაზრდელს გადაეცა საახალწლო საჩუქრები, სასწავლო საალმზრდელო წლის ბოლოს განახლდა სახანძრო უსაფრთხოების სისტემები ყველა საბავშვო ბაღში, შემოწმდა და გამოიცვალა 76 ცეცხლმაქრი.

**ბ) საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02)**

საჯარო სკოლების დაფინანსებაზე (პროგრამული კოდი 04 02) გამოყოფილი იქნა 867,9 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 866,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,8%-ია.

განხორციელდა :

- საჯარო სკოლებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ქალაქიდან სოფელში და სოფლიდან ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე 254 მასწავლებელთა სუბსიდირება. მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების საფუძველზე განხორციელდა 628 საჯარო სკოლის მოსწავლის ტრანსპორტით უზრუნველყოფა

**გ) განათლების ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 04)**

განათლების ღონისძიებების პროგრამაზე (პროგრამული კოდი 04 04) გამოყოფილი იქნა 85,7 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 70,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 82,4%-ია.

განათლების ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა:

**5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)**

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებებზე გაწეული იქნა 3782,8 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4096,7 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 92,3 პროცენტი.




| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | 2023 წლის გეგმა | 2023 წლის ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| **05 00** | **კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები** | **4096,7** | **3782,8** | **92,3** |
| **05 01** | **სპორტის განვითარების ხელშეწყობა** | **1348,0** | **1335,3** | **99,1** |
| 05 01 01 | სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა | **738,8** | **738,6** | **100,0** |
| 05 01 02 | ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | **399,8** | **392,0** | **98,0** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05 01 03 | სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა | 37,0 | 32,5 | 88,0 |
| **05 02** | **კულტურის განვითარების ხელშეწყობა** | **2566,4** | **2273,2** | **88,6** |
| 05 02 01 | მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | 891,4 | 888,4 | 99,7 |
| 05 02 02 | ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამაში | 437,5 | 437,5 | 100,0 |
| 05 02 04 | კულტურული ღონისძიებების პროგრამა | 803,1 | 523,7 | 65,2 |
| 05 02 05 | კულტურული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა | 434,4 | 423,6 | 97,5 |
| **05 03** | **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება** | **32,3** | **24,3** | **75,3** |
| **05 05** | **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა** | **100,0** | **100,0** | **100,0** |

### ა) სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 01)

სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამაზე (პროგრამული კოდი 05 01 01) გამოყოფილი იქნა 738,8 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 738,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 100%-ია.

სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება თავის საქმიანობას წარმართავს წინასწარ შედგენილი გეგმის საფუძველზე, რომელიც მოიცავs სასპორტო სკოლასთან სპორტის სხვადასხვა სახეობაში სექციების შექმნასა და მათი მეცადინეობების ორგანიზებულად კვალიფიციურად წარმართვas ლიცენზირებული მწვრთნელ-მასწავლებლების მეშვეობით, სპორტული შეჯიბრებების ორგანიზაციას როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონისა და ქვეყნის მაშტაბით მოწვეული გუნდების მონაწილეობას, სპორტის სასახლეში ქვეყნის მაშტაბით მოწყობილი შეჯიბრებების ხელის შეწყობას, რაც გამოიხატება სხვადasხვა სახის ღონისძიებათა ჩასატარებლად დარბაზის მომზადებაში, შეჯიბრების ორგანიზებულად წარმართვაში და ა. შ

2023 წლის იანვრიდან სასპორტო გაერთიანებაში შექმნილია 14 სახეობის 33 ჯგუფი, რომელშიც 601ნორჩი სპორტსმენი იმაღლებს მომზადების დონეს, მათ Sორის ბ/ რომაული ჭიდაობის 4 ჯგუფი -79 აღსაზრდელით, კალათბურთის 3 ჯგუფი 96 -აღსაზრდელით, ძიუდოს 3 ჯგუფი 72 აღსაზრდელით, ჭადრაკის 2 ჯგუფი 59 აღსაზრდელით, რაგბის 2 ჯგუფი 36 აღსაზრდელით, კრივის /კუდო 5 ჯგუფი 81 აღსაზრდელით. პროფესიული კრივი 1 ჯგუფი 5აღსაზრდელი,კარატეს 3 გჯუფი 51 აღსაზრდელით, ტაეკვანდოს 4 ჯგუფი 46 აღსაზრდელით, ხელბურთის 1 ჯგუფი 16 აღსაზრდელიT, მაგიდის ჩოგბურთის 1 ჯგუფი -16 აღსაზრდელიT, მკლავჭიდის 1 ჯგუფი 6 აღსაზრდელით, სამბო 1 ჯგუფი 10 აღსაზრდელი ,ქართული ჭიდაობა 2 ჯგუფი 20 აღსაზრდელით,კიკბოქსინგი 1ჯგუფი-8აღსაზრდელი.

ასევე გაერთიანებას აღრიცხული ყავს 18 წელს მომქმედი 33 სპორტსმენი და კოორდინაცია ეწევა მათ მომზადებას, შეჯიბრებებზე გაგზავნას და შესაბამისად დაფინანსებას საქართველოს ფარგლებში.

ჯგუფების საქმიანობას დღეის მდგომარეობით წარმართავს 26 მწვრთნელ-მასწავლებელი. ყველა მათგანს გააჩნია ზემდგომი სპორტული ფედერაციის მიერ გაცემული ლიცენზია, ან შესაბამისი ფედერაციის მიერ გაცემული
ნებართვა, რომლითაც უფლება ეძლევათ აწარმოონ სამწვრთნელო-ამღზრდელობითი მუშაობა.

გაერთიანება სისტემატურად აწყობs შეჯიბრებებს მუნიციპალიტეტებსა და რეგიონის მაშტაბით და ეს შეჯიბრებები სულ უფრო მაშტაბური ხდება. მასში ადგილობრივ გუნდებთან ერთად მონაწილეობას იღებენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქების და რაიონების ნაკრები გუნდები, ,,თბილისი,ქუთაისი, ბათუმი, ხული, ფოთი,მარნეული, ზუგდიდი, სამტრედია, ოზურგეთი, ხობი, აბაშა, ბოლნისი,სტეფანწმინდა,ჩოხატაური,წყალტუბო,ამბროლაური და სხვა.

აღსანიშნავია 16 წლამდელ კალათბურთელთა მიღწევები, 2023 წელს პირველად მიიღეს მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონთა ,,ა“ ლიგაში. (მიუხედევად გაუთვალისწინებელი ხარჯებისა საკრებულოსა და მერის მხარდაჭერით) სტანდარტების მიხედვით

გათვალისწინებული ხარჯებისა და მერიის მხარდაჭერით) სტანდარტების შესაბამისად დაქირავებულ იქნა ქ.ფოთის სტანდარტული სპორტული დარბაზი უზრუნველყოფილ იქნენ მსაჯთა კოლეგია ღამისთევითა და სამჯერადი კვებით(მწრთვნელ მასწავლებელები: თეიმურაზ ნაჭყებია , შოთა კუჭავა, თამაზ ხაფავა)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული სპორტული ღონისძიებები, კერძოდ:

- ნ.ჯანჯღავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია საჭადრაკო ტურნირი ჭადრაკში;
- თ. ვახანიას და შ. ჯავახიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი კრივში;
- გ. ტყებუჩავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია საჭადრაკო ტურნირი ჭადრაკში;
- შიდა ჩემპიონატი მოკლე ნარდში;
- 26 მაისი დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- დ. კილასონიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ფესტივალი რაგბში;
- 9 აპრილსადმი მიძღვნილი რაიონული პირველობა კალათბურთში;
- ევროპის პრიზიორი კახაბერ ქვანიას სახელობის ტურნირი კრივში;
- ნესტორ ესებუას სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში(დეკემბერი);
- დავით საჯაიას სახელობის ღია ტურნირი ტაეკვან-დო-ში (დეკემბერი);
- კოკა ნარმანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი კალათბურთში (დეკემბერი);
- მიხეილ ქურდოვანიძის სახელობის ტურნირი ჭადრაკში (დეკემბერი);

გარდა ადგილზე მოწყობილი ღონისძიებებისა, 2023 წელს სენაკელი სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის ქალაქებისა და რაიონში მოწყობილ ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებებში. სენაკელი სპორტსმენები მონაწილეობდნენ მსოფლიოს, ევროპისა და საქართველოს ეროვნულ და საერთაშორისო ჩემპიონატებზე: ბ/რომაულ ჭიდაობაში, კარატე-დო-ში, კრივში, ჭადრაკში, ძიუდოში, ტაევანდო-ში, ხელბურთში და ა.შ.

- **ბ/რომაული ჭიდაობა** საქართველოს ეროვნული პირველობა: ,,პირველი ადგილი-გიორგი ჩხიკვაძე, მე-2 ადგილი ლუკა ოჩიგავა, მე-3 ადგილი ომიკო შენგელია.

ევროპის ჩემპიონატი ,,ბუქარესტში" მე-3 ადგილი გიორგი ჩხიკვაძე.

საქართველოს პირველობა 15 წლამდელებს შორის მე-2 ადგილი ქვარცხავა გიორგი.

- **ძიუდოში** საქართველოს ჩემპიონატი გოგონებს შორის 1 ადგილი და მე-3 ადგილი საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებს შორის 1 ადგილი, მე-3 ადგილი.
- **ჭადრაკში** საქართველოს ჩემპიონატი -მე-3 ადგილი გოგია ალექსანდრე.
- **კრივში** საქართველოს ჩემპიონატი მოსწავლე მოკრივეთა შორის მე-3 ადგილები 4 სპორტსმენმა.

- **კრივში** საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკ მოკრივეთა შორის მე-3 ადგილი 1 სპორტსმენმა.
- **მაგიდის ჩოგბურთი** საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მე-2 ადგილი 1 სპორტსმენმა.
- **ტაეკვონ-დო** საქართველოს ჩემპიონატი პირველი ადგილი: 1 სპორტსმენმა, მე-2 ადგილი 2 მსპორტსმენმა, მე-3 ადგილი 3 სპორტსმენმა.

სპორტსმენები და მათი მწვრთნელ-მასწავლებლები წახალისდნენშესაბამისი ფულადი ჯილდოთი, ხოლო სპორტსმენების უმრავლესობა საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში არიან ჩარიცხულნი.

სენაკის სასპორტო გაერთიანების სპორტრსმენებმა 2023 წელს მონაწილეობა მიიღეს 120-ზე მეტ რესპუბლიკურ, საერთაშორისო და რეგიონალურ ტურნირებში, სადაც მიღებული აქვთ 200-ზე მეტი საპრიზო ადგილები.

## ბ) ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 02) გამოყოფილი იქნა 399,8 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 392,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

ა.(ა).ი.პ.სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის ბავშვთა ასაკობრივი გუნდების ჩამოყალიბების პროცესი მუდმივად განახლებად პროცესში მიმდინარეობს.

7-8 წლის ასაკიდან ხდება ბავშვთა არასაშეჯიბრო და ასაკობრივი გუნდების დაკომპლექტება, მშობლის განცხადების საფუძველზე მოსწავლეთა მიღება მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში. ყველა გუნდში მიღება და ვარჯიში უფასოა: კალენდარული შეხვედრები,ტურნირები,ეკიპირება, კვება, ტრანსპორტი. 2023 წელს ყავდათ 150-აღსაზრდელი, ისინი შესაბამის ასაკობრივ გუნდებში ვარჯიშობენ. რომლებსაც ავარჯიშებენ გამოცდილი, უეფას სტანდარტით ლიცენზირებული მწვრთნელ-მასწავლებლები. სტადიონის ტერიტორიაზე სისტემატიურად მიმდინარეობს არსებული საფეხბურთო

ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. 2023 წელს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონიდან უსასყიდლოდ გადმოეცა მეორადი პლასტმასის სკამები და მოვახდინეთ რამოდენიმე რიგში დაზიანებული სკამების ჩანაცვლება. განახლდა სამედიცინო ოთახი შესაბამისი ინვენტარით და უზრუნველყოფილია პირველადი მომსახურების მედიკამენტებით. ყველა შეხვედრა იმართება ბუნებრივ საფარიან მოედანზე. მუდმივად განახლებულია და მზადაა მწვანე საფარი,სრულდება ტექნიკური სამუშაოები დახაზვა, კარების შეღებვა და ა.შ.

ა.(ა).ი.პ სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის ბავშვთა ასაკობრივი გუნდები მონაწილეობენ სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონის ელიტ-ლიგის კალენდარულ გათამაშებაში და სხვადასხვა ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილ ტურნირებში:

U-10 მწვრთნელი ლევან სულაძე;

U-11 მწვრთნელი თამაზ ხუხუა;

U-12 რევაზ იოსელიანი;

U-14 მურად კუპრეიშვილი;(სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონის სფფ)

U-14 მწვრთნელი მურად კუპრეიშვილი;(იმერეთის რეგიონის სფფ)

7-8-9 წ.ასაკობრივ გუნდებში: გრიგოლ მიქავა,ხვიჩა სანაია;

2011-2012-2013 წელს დაბადებული არასაშეჯიბრო ასაკის ფეხბურთელებისათვის გაფორმდა ხელშეკრულება ,,შ.პ.ს.თბილისი „დინამოს“ საფეხბურთო სკოლასთან“ და 19 ნოემბერს მონაწილეობა მიიღეს ფესტივალში.

2023 წლის სეზონში: საპრიზო მეორე ადგილზე გავიდა U-11-ის ფეხბურთელთა გუნდმა; U-14-ის იმერეთის რეგიონის ჩემპიონატის ზედა ჯგუფში მესამე ადგილზეა სენაკის „ეგრისი“.

### გ) სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 03)

სპორტულ ღონისძიებათა პროგრამაზე (პროგრამული კოდი 05 01 03) გამოყოფილი იქნა 37,0 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 32,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 88,0%-ია.

სპორტულ ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში ჩატარდა:

- სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023 -ის რეგიონალური ეტაპი (საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტის თანამშრომლობით). მონაწილე სკოლები დასაჩუქრდა სპორტული ფორმებით. ასევე, უზრუნველყოფილი იქნა მათი ტრანსპორტირება რეგიონალურ თამაშებზე.
- საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციასთან ერთად ჩატარდა მოყვარულ ფეხბურთელთა ტურნირი და გამოვლინდა სენაკის მუნიციპალური ეტაპის გამარჯვებული, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ,,მოყვარულთა თასი 2023“-ის რეგიონალურ გათამაშებაში. (შეძენილ იქნა საფეხბურთო ფორმების კომპლექტი და უზრუნველყოფილი იქნა მათი ტრანსპორტირება რეგიონალურ თამაშებზე).
- სენაკელმა კალათბურთელებმა მონაწილეობა მიიღეს 16 წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო თამაშებზე და საბოლოოდ 16 წლამდელთა ლიგაში მონაწილეობის უფლება დაიმსახურეს, რისთვისაც გუნდსა და მწვრთნელ-მასწავლებელს გადაეცათ წამახალისებელი ფულადი ჯილდო.
- ფეინბოლის ფედერაციასთან ერთობლივად ჩატარდა სენაკის მუნიციპალური ტურნირი ფეინბოლში.
- 30 სექტემბერს ჩატარდა მარათონი ევროპის სასკოლო სპორტის დღესთან დაკავშირებით.

ოქტომბერ-დეკემბერში ჩატარდა სასკოლო ოლიმპიადა 2023-2024 -ის სენაკის მუნიციპალური ეტაპის თამაშებში და გამოვლინდა გამარჯვებულები(მინიფეხბურთში, ხელბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ბადმინტონი, ფრენბურთი, 3X3 კალათბურთი, გეზრენსა და მხიარულ სტარტებში), როგორც გოგონათა ასევე ვაჟთა შორის.

მიღწეული წარმატებების გათვალისწინებით წამახალისებელი ფულადი ჯილდო გადაეცათ სენაკის მკვიდრ ძიუდოისტ მარიამ სიჭინავას, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე გიორგი ჩხიკვაძესა და გიორგი ქვარცხავას. საქართველოს 2023 წლის ჩემპიონატისათვის ჭიდაობაში მოსამზადებელი საწვრთნელი პერიოდისათვის სპეც. მედიკამენტების(ვიტამინების) შეძენაში დახმარება გაეწია გიორგი ჩხიკვაძეს. საქართველოს ძიუდოს ფედერაციასთან ერთად დაფინანსდა საქართველოს ვეტერან ძიუდოისტთა ნაკრების წევრი სენაკელი ელგუჯა გვასალია ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად, ასევე სამბოსა სდა ძიუდოს მსოფლიოს ვეტერანთა ჩემპიონტზე გასამგზავრებლად. დახმარება გაეწია იტალიაში, მოსწავლეთა საჭადრაკო მსოფლიო ოლიმპიადაზე გასამგზავრებლად სენაკელ მოჭადრაკეს გიორგი ჭანტურიას. წამახალისებელი ფულადი ჯილდოები გადაეცათ ტაეკვანდოს (ICTF) ფედერაციის მიერ გამართული მსოფლიო თასის მონაწილე წარმატებულ სენაკელ სპორტსმენებს.

წლის ბოლოს გამოვლინდა 2023 წლის საუკეთესო სენაკელი სპორტსმენები: საუკეთესო სპორტსმენი გიორგი ჩხიკვაძე, საუკეთესო ვეტერანი სპორტსმენი გია ლატარია, საუკეთესო გოგონა სპორტსმენი ანანო კინწურაშვილი, საუკეთესო მოსწავლე სპორტსმენი გიორგი ქვარცხავა, საუკეთესო ლეგიონერი სპორტსმენი გიორგი დავითაია და საუკეთესო მწვრთნელ-მასწავლებელი რამაზ კოკაია, მათ გადაეცათ სპეციალური სიგელი და ფულადი ჯილდოები.

**დ) მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 01)**

მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე (პროგრამული კოდი 05 02 01) გამოყოფილი იქნა 891,4 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 888,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,7%-ია.

ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი მუდმივად კოორდინაციას უწევს მასში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს, რომელიც მოიცავს: 16 ბიბლიოთეკას, მათ შორის: 1 ცენტრალური, 15 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი ბიბლიოთეკა, ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თეოფანე დავითაიას სახელობის მუზეუმი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის მუზეუმი, კულტურის სახლი, 2 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი კლუბი, სახვითი ხელოვნების გალერეა, ფოლკლორის ცენტრის ფილიალი. საჯარო ბიბლიოთეკის ორგანიზებით ჩატარდა 29 თემატური ღონისძიება, 20 გამოფენა და ყოველწლიური საბიბლიოთეკო კვირეული. კვირეულის ფარგლებში სერთიფიკატები გადაეცათ აქტიურ ბიბლიოთეკარებს. ცენტრში შემავალი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი მუდმივად იზრდება. 2023 წლისთვის წიგნადი ფონდი შეადგენს 161152 წიგნს, აქედან საჯარო ბიბლიოთეკაში განთავსებულია 53069 წიგნი, მათ შორის საბავშვო ბიბლიოთეკის ფონდში ირიცხება 12028 ადმინისტრაციულ ერთეულებში განთავსებულ ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი შეადგენს.

სენაკის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს: ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თეოფანე დავითაიას სახელობის მუზეუმი და არნოლდ ჩიქობავას სახელობის მუზეუმი. 2023 წელს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ეწვია 1043 დამთვალიერებელი, ჩატარდა 9 ღონისძიება. მუზეუმს საჩუქრად გადაეცა 368 ნივთი. ამ დროისთვის მუზეუმის ფონდში ირიცხება 6481 ნივთი. ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმს ესტუმრა 1043 ვიზიტორი. ჩატარდა 3 მნიშვნელოვანი ღონისძიება.

**სახვითი ხელოვნების გალერეა** ემსახურება სხვადასხვა თაობის მხატვრების შემოქმედების საზოგადოებისათვის გაცნობას, სადაც დამთვალიერებლებს შეუძლიათ მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია წარმოდგენილი ნამუშევრებისა და მათი ავტორების შესახებ. 2023 წელს სახვითი ხელოვნების გალერეაში ჩატარდა 6 გამოფენა და საერთო ჯამში დამთვალიერებელთა რაოდენობამ შეადგინა 1250.

ფონდში ინახება 313 ექსპონატი, გალერეას საჩუქრად გადაეცა 13 ექსპონატი. აღსანიშნავია ლადო გუდიაშვილის ტილოს „ზემო ქართლში" გაელერაში დაბრუნება 30 წლის მერე, რომელიც მერიის სრული დაფინანსებით და მხარდაჭერით განხორციელდა.

2023 წელს ცენტრში ჩატარდა არაერთი ღონისძიება:

- მუნიციპალიტეტში გამართულ საშობაო ალილოზე მონაწილეობა;
- საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე;
- მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობა საახალწლო კონცერტზე;
- წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე;
- ანსამბლი „მუსიკელის" გასტროლები ლატვიასა და ლიეტუვაში;
- სენაკელი არქიტექტორის, მხატვარ ზაზა ჯანჯღავას პერსონალური გამოფენა;
- „ქალი, მზე, სიყვარული";
- ჟიული შარტავას ცხოვრების ამსახველი ფოტო და პერიოდული პრესის გამოფენა;
- სქართველოს ეროვნული გმირის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის-ჟიული შარტავას დაბადებიდან 79 წლის თავის აღნიშვნა;
- აქტივობა- დედისა და ქალის დღე;
- ტურისტული კლუბის წევრები სტუმრად მუზეუმებში;
- „მზის შვილების" დღის აღნიშვნა;
- „ვიცნობდეთ ჩვენი კუთხის ისტორიას" ფარგლებში სენაკის N 2 და N3 სკოლის მოსწავლეები სტუმრად მუზეუმებში;
- გამოჩენილი ქართველი ებრაელის, საზოგადო მოღვაწის, მთარგმნელის, პოეტის, ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 79 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმიდან 32-ე წლისთავისა და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღისადმი მიძღვნილი საღამო;
- 34 წელი 9 აპრილის ტრაგედიიდან -მუნიციპალიტეტში დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობა;
- ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტირებული შენობის საზეიმოდ გახსნა;
- დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- კონცერტი „გაზაფხულის ზეიმი";

- დედაენის დღისა და სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირულ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი კომპოზიცია „მამული, ენა, სარწმუნოება";
- ტურისტული კლუბის წევრები სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრსა და ქალაქის პარკში მდებარე კუბს ესტუმრნენ;
- დედამიწის დღესათან დაკავშირებით დასუფთავების აქცია გაიმართა;
- პროექტ „ვიცნობდეთ ჩვენი კუთხის ისტორიას" ფარგლებში ფოცხოს თემის ისტორიის პრეზენტაცია;
- ნორვეგიელი მხატვრის, ჰელა ეღენის პერსონალური გამოფენა;
- ანსამბლ „კოლხური ტრიოს" მონაწილეობა ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკის ფესტივალ „ნანინაში".
- საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნა;
- ანსამბლი „მუსიკელი" სტუმრად აჭარის სატელევიზიო გადაცემაში ART ექსპერტი;
- ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხის" მონაწილეობა ქორეოგრაფიული ანსამბლების პირველ რესპუბლიკურ ფესტივალზე „ხომლი 2023";
- მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის თეატრალური დასის მონაწილეობით სპექტაკლი „HELADOS-გაკვეთილის" პრემიერა;
- საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვა;
- ანსამბლი „მუსიკელის" ხანგრძლივი ტურნე;
- სენაკის საპატიო მოქალაქე, ექიმი და საზოგადო მოღვაწე პაატა ქურდღოვანიძე რუბრიკით „ერთი ოჯახის ისტორია";
- მუზეუმების საერთაშორისო დღე და ეროვნული სამოსის დღე;
- სემინარი თემაზე: „რა არის ლაშქრობა";
- ცენტრის თეატრალური დასის მონაწილეობით სპექტაკლი „HELADOS-გაკვეთილი";
- 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ღია გაკვეთილი თემაზე: „საქართველო უპირველეს ყოვლისა";
- დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა;
- 1 ივნისი ბავშთა დაცვის საერთაშორისო დღე;
- ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო, შემეცნებითი და გასართობი აქტივობები;
- ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?";
- ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხის" მონაწილეობა ყოველწლიურ ფესტივალზე „ცეკვის ფესტივალი თელავში".
- ცენტრის თეატრალური დასის მონაწილეობით სპექტაკლი „HELADOS-გაკვეთილი";
- ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხის" მონაწილეობა ბავშვთა ფოლკლორულ ფესტივალზე „არტ-მარტვილი 2023";
- ანსამბლ „ეგრისის" კონცერტი;
- ანსამბლ „კოლხის" მონაწილეობა კოლხურ-ლაზური სიმღერებისა და ცეკვების ფოლკლორულ ფესტივალ-კონკურსზე;

- ცენტრის თეატრალური დასის მონაწილეობა ნოდარ დუმბაძის IV საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე;
- ანსამბლი „მუსიკელის" მონაწილეობა პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის მე-3 საერთაშორისო ფესტივალ „კოლხიდაზე";
- ანსამბლი „კოლხური ტრიოს" მონაწილეობა პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის მე-3 საერთაშორისო ფესტივალზე „კოლხიდა";
- ანსამბლი „მუსიკელის" მონაწილეობა ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო მე-20 საიუბილეო ფესტივალზე „არტგენი";
- ჯგუფი „ეგარის" კონცერტი;
- ცენტრის ტურისტული კლუბის გასვლითი აქტივობა;
- ანსამბლი „კოლხური ტრიო" ნინო რეხვიაშვილის წიგნის „სამყაროს სამკაულის" მე-7 ტომის წარდგენაზე;
- 15 წელი აგვისტოს ომიდან;
- სპექტაკლი „ემიგრანტების" პრემიერა;
- ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- 30 წელი სოხუმის დაცემიდან...;
- ანსამბლ „მუსიკელის" მონაწილეობა თბილისობის დღესასწაულზე;
- ანსამბლ „მუსიკელი",ქართულ-ტრადიციული მუსიკის საღამო;
- ტურისტული კლუბი ლაშქრობა ეკის ციხეში;
- ანსამბლი „კოლხური ტრიო" ი.ლოლუას დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოზე;

- ანსამბლი ,,კოლხური ტრიო"- პოეტის, მიმოზა ცანავას საიუბილეო შემოქმედებით საღამოზე მონაწილეობა;
- ნ.დუმბაძის 95-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო;
- შეხვედრა ანსამბლ ,,კოლხური ტრიოს" წევრებთან;
- სახალხო დღესასწაული ,,ეგრისობა";
- ეკოკლუბი ,,მწვანე ერთობა"- სემინარი თემაზე: ,,ენერგოეფექტურობა";
- ანსამბლ ,,მუსიკელის" საგასტროლო ტურნე ბალტიისპირეთის ქვეყნებში;
- ანსამბლი ,,ოქროს ნოტები" კონკრუს ფესტივალზე TV-100 ის ვარსკვლავის ფინალურ ეტაპზე;
- შეზღუდული შესაძლებლობიოს მქონე პირთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა ბავშვთა დღის ცენტრ ,,ლაზარე"-2015 ში;
- ეკო-კლუბ ,,მწვანე ერთობის '' მიერ პესტიციდებთან ბრძლის საერთაშორისო დღის აღნიშვნა;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახალხო თეატრი ,,მოდი ნახე" სპექტაკლით ,,მე ვხედავ მზეს";
- ეკო- კლუბი ,,მწვანე ერთობის" წევრები შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სენაკის ცენტრში ნიადაგის დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით;
- ლ.გუდიაშვილის ნახატის ,,ზეიმი ქართლში" დაბრუნება სამხატვრო გალერეაში 30 წლის შემდეგ და მხატვრის საერთაშორისო დღის აღნიშვნა;
- ტურისტული კლუბის მწვანე მოლაშქრეების წევრების გასვლითი აქტივობა აჭარაში;
- ქორეოგრაფიული წრის შემაჯამებელი ღია გაკვეთილი;
- ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების აღნიშვნა;
- თოჯინების თეატრი სპექტაკლებით: ,,მგელმა მგლობა მოიშალა" და ,,მანანა";
- ,,დახმარებისა და ინტეგრირების ლიგას" ტრადიციული საქველმოქმედო აქცია-კონცერტი;
- საახალწლო კონცერტი;
- საესტრადო სიმღერების შემსწავლელი სექციის ,,ოქროს ნოტების"საახალწლო კონცერტი;
- ახალი წლის კვირეულის ფარგლებში ფოლკლორის საღამო ანსამბლების: ,ეგრისი, მუსიკელი და კოლხური ტრიოს მონაწილეობით;
- ეკო-კლუბ ,,მწვანე ერთობის" წევრების მიერ ახალი წლის ღონისძიებების ფარგლებში შექმნილი ეკო ნაძვის ხის პრეზენტაცია;
- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი ჯგუფებისა და ანსამბლების მონაწილეობით შემაჯამებელი საახალწლო შოუ კონცერტი;
- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობა დევნილთა დასახლებაში გამართულ საახალწლო კონცერტზე;
- საესტრადო სიმღერების შემსწავლელი სექციის ,,ოქროს ნოტების" მონაწილეობა მუნიციპალიტეტში გამართულ საახალწლო კონცერტზე.

### ე) ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამაში (პროგრამული კოდი 05 02 02)

ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამაზე (პროგრამული კოდი 05 02 02) გამოყოფილი იქნა 437,5 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 437,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 100%-ია.

2023 წელს ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის საქმიანობა წარიმართა ადმინისტრაციის, სახელოვნებო - საგანმანათლებლო, შემოქმედებითი გეგმების შესაბამისად. ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულია 49 ადამიანი, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემით ემსახურება 460 მოსწავლეს.

კერძოდ განხორციელდა:

✓ ცენტრის ხელმძღვანელობა მონაწილეობდა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს შესაბამის სამუშაო სხდომებზე, მიღებული რეკომენდაციები რეაგირებული და შესრულებულია.

✓ დოკუმენტბრუნვა: მომართვა-37, განცხადება- 724, სხვადსხვა ხასიათის ბრძანებები - 174, მოხსენებითი ბარათი - 102, მომართვა - 41, მივლინება-31, ცნობა-7, ნებართვა (შესყიდვები) -10.

✓ 2023 წელს ხელოვნების ცენტრის სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამები დაამთავრა 42-მა მოსწავლემ (სამუსიკო მიმართულება-28, სამხატვრო-14);

✓ სამუსიკო სკოლაში ირიცხება: 248 მოსწავლე;

✓ სამხატვრო სკოლაში ირიცხება: 96 მოსწავლე;

✓ 2023 წელს შეღავათის პროგრამის ფარგლებში გადასახადიდან გათავისუფლებულია 76 მოსწავლე: - სოციალურად დაუცველები: 38(სამუსიკო სკოლა -27, სამხატვრო სკოლა-11). - ერთი ოჯახიდან და-ძმა-29 (სამუსიკო სკოლა - 24 სამხატვრო სკოლა-5);

✓ ცენტრი ემსახურება მსურველებს მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან (ჩხოროწყუს, აბაშის, ხობის და მარტვილის) ჩარიცხულია 17 მოსწავლე;

✓ სენაკის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლიდან ჩარიცხულია (მუსიკის მიმართულებით- 67, ხატვის მიმართულებით 16) 83 მოსწავლე;

✓ ცენტრში რეგულარულად ტარდებოდა შიდა საკოორდინაციო სამუშაო – შეხვედრები;

✓ მუდმივად ახორციელებდა მშობლებთა და მოსწავლეთა კონსულტაციებს სხვადასხვა საკითხებზე;

✓ მონიტორინგი უტარდება დასაქმებულთა, მოსწავლეთა და მშობელთა საინფორმაციო ბაზებს;

✓ ცენტრი მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის მიერ ორგანიზირებულ პანელურ დისკუსიაში: ,,სახელოვნებო განათლების რეფორმასთან დაკავშირებით", შეხვედრის მიზანი იყო, ზოგადად სახელოვნებო განათლების მდგომარეობის განხილვა და გამოწვევების იდენტიფიცირება;

✓ ცენტრს გააჩნია ადგილობრივი, რეგიონული და რესპუბლიკური ღონისძიებების კალენდარი;

✓ ეტაპობრივად ხორციელდება საგანმანათლებლო რესურსების განახლება;

✓ გაიზარდა ღონისძიებებში ჩართულობის გეოგრაფიული არეალი;

✓ ხელოვნების ცენტრის 10 პედაგოგი პარალელურად დასაქმებულია საჯარო და კერძო სკოლებში;

✓ მასწავლებლის ეროვნული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ხელოვნების ცენტრის პედაგოგებს გადაეცათ მადლობის სიგელები, სახელოვნებო განათლებაში შეტანილი წვლილისთვის;

✓ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, წარმატებულ და ღვაწლმოსილ პედაგოგთა დაჯილდოების ცერემონიალზე, სახელოვნებო სფეროში მოღვაწე, ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება გაიმართა. ხელოვნების ცენტრის პედაგოგებს, ზეინაბ ყურაშვილს და ლუდმილა ცხაკაიას, საპატიო სიგელები გადასცეს;

✓ შემოქმედებითი მხარდაჭერის მიზნით ცენტრი ახორციელებს პროექტს: ,,ხელოვნების საკვირაო სკოლა", სადაც ჩართულია 120 მოსწავლე. კერძოდ: – სამუსიკო მიმართულებაზე ჩარიცხულია (ისწავლება მუსიკალურ ინსტრუმენტზე შესრულება და სიმღერა) – 96 მოსწავლე; – სივრცითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებაზე ჩარიცხულია (ხაზვა, პროპორცია, რიტმი, სივრცე, ფუნქცია და კონსტრუქცია, მაკეტირება-ქაღალდის მხატვრული გამოჭრა)-16 მოსწავლე; – ხატვის საფუძვლებს ეუფლება-8 მოსწავლე;

✓ ზაფხულის პერიოდის არდადეგებისას ხორციელდება შემოქმედებითი პროექტი: ,,ხელოვნების საზაფხულო სკოლა";

✓ მონაწილეობა მიღებულია ადგილობრივ და რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო მნიშვნელობის 104 ღონისძიებაში. აქედან: კონკურს-ფესტივალი-17, ჩათვლა /ლექცია/მოსმენა/ ვიქტორინა-15, შიდა სასკოლო კონცერტები -57, პლენერი-2, გამოფენა-11, მასტერკლასი-2;

✓ კონკურს/ფესტივალებში მონაწილეებს მიენიჭათ წოდებები: ლაურეატი-13, სიგელი-200, საპატიო დიპლომი-32.

✓ ანსამბლმა ,,გოგალაამ" მონაწილეობა მიიღო 15 კონცერტში,

აგრეთვე მონაწილეობდა: – ლატვიაში, თალსის მუნიციპალიტეტში, სახალხო დღესასწაულ ,,DIZMARAS FAIR-2023"-ში. – ქ.ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, გიორგი (გიგი) გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის XVIII საერთაშორისო ფესტივალის გახსნაზე.ფესტივალის მუსიკალურ ნაწილში წარმოდგენილი იყო ანსამბლები, როგორც საქართველოდან, ასევე თურქეთიდან, ფინეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან;

✓ ცენტრმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

**სამუსიკო სკოლაში განხორციელებული ღონისძიებები:**

- 19 მარტი – ქალაქ ქუთაისში, ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის XV რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსი ,,იპოვე ვარსკვლავი შენი", სადაც მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის საორკესტრო განყოფილების ვიოლინოს ჯგუფის მე-II კლასის მოსწავლემ,
- 28 მაისს, კონკურსანტს მეორე ადგილი და ლაურეატის წოდება მიენიჭა.
- 25 მარტი – ქ.ქუთაისში,ზაქარია ფალიაშვილის მე-2 სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში, ჩატარდა კლასიკური მუსიკის მე-16 ეროვნული კონკურს-ფესტივალის ,,მომავლის ვარსკვლავები" შესარჩევი ტური. მონაწილეობა მიიღეს სამუსიკო სკოლის, ვიოლინოს კლასის მეორე კლასის მოსწავლემ, საესტრადო 4 განყოფილების მე-IV კლასის მოსწავლემ და გიტარისტთა კვარტეტის მოსწავლეებმა.ფინალში გადავიდა გიტარისტთა კვარტეტი, პედაგოგ გოჩა ჯგერენაის ხელმძღვანელობით.
- 22 აპრილს, გალა-კონცერტზე ლაურეატის წოდება მიენიჭათ
- 2 აპრილი – საქართველოს ხელოვნების აკადემიის და მუსიკის აკადემიის ორგანიზებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ე.შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლაში წელს პირველად ჩატარდა ,,ქართული მუსიკის VII ეროვნული კონკურსი".

საზეიმო გახსნაში მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელმა, რუსუდან მილიუტინმა, შეასრულა კომპოზიცია ცეკვა ქართული, ზ.ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი".

- 4 აპრილი – ქართული მუსიკის VII ეროვნული კონკურსში მონაწილეობა მიიღეს სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების და საორკესტრო განყოფილების (ვიოლინო) მოსწავლეებმა, გოგონათა ვოკალურმა კვარტეტმა.
- 5 აპრილი – – ქართული მუსიკის VII ეროვნული კონკურსის დაჯილდოების ცერემონიალზე, მონაწილეებს დიპლომანტის და მე–III პრემიის დიპლომები გადაეცათ.
- 9 აპრილი – სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში,
- 9 აპრილისადმი მიძღვნილი საღამო – „გვიმღერია, ისევ ვიმღერთ, ჩვენს ტკბილ მრავალჟამიერსა" ჩატარდა. მონაწილეობა მიიღეს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა.
- 27 აპრილი– სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და საქართველოს საგუნდო საზოგადოების სამეგრელოს ფილიალის ორგანიზებით, სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VII ეროვნული კონკურსის ზონალური ეტაპი გაიმართა.კონკურსში მონაწილეობა სამუსიკო სკოლის ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის მოსწავლეთა გაერთიანებულმა გუნდმა, ხალხური საკრავების განყოფილების ანსამბლმა„მორდუ" მიიღო.
  მონაწილეებს გადაეცათ დიპლომები.
- 6 მაისი – ა(ა)იპ „დემოსის" ორგანიზებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მეორედ ჩატარდა სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში, ქართული სიმღერების რიგით VII კონკურს–ფესტივალის – „სხვა საქართველო სად არის" ფარგლებში, ქართული მუსიკის მოსმენა, დათვალიერება, წინამოსამზადებელი ეტაპი, შერჩევა და მასტერკლასი. მოსმენა–დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა: საესტრადო განყოფილება,გოგონათა ვოკალური ანსამბლი, ტრიო, დუეტი, ფოლკლორული ანსამბლი „მორდუ" და ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებული გუნდი.
- 9 მაისი –სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში, ფაშიზმზე გამარჯვების 78 წელთან და ევროპის დღესთან დაკავშირებით კლასიკური მუსიკის კონცერტი და თემატური ნახატების გამოფენა მოეწყო.
- 15 მაისი – დასავლეთ საქართველოს რეგიონალურმა მე–X ფესტივალმა სტარტი აიღო და ის 25 მაისს გრანდიოზული ფინალით დაიხურა.ხელოვნების აკადემიის საპატიო სიგელებით ნიჭიერი,ახალგაზრდა თაობის აღზრდაში და ქალაქის მუსიკალურ–საგანმანათლებლო სივრცეში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდნენ სამუსიკო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგები.

- 16 მაისი – „სენაკი არტ ფესტივალი–2023"–ის ფარგლებში, ცენტრის სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში, სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა მოსმენა–დათვალიერება ჩატარდა. მასში მონაწილეობა 200–ზე მეტმა (საფორტეპიანო, საესტრადო, ფოლკლორული, საორკესტრო, გიტარის, ვოკალური ანსამბლები) მოსწავლემ და ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებულმა გუნდმა მიიღო. ჟიურის გადაწყვეტილებით, ლაურეატის წოდება და გალაკონცერტზე მონაწილეობა მოიპოვეს: გოგონათა ვოკალურმა კვარტეტმა, გიტარისტთა დუეტმა, გიტარისტთა ტრიომ და ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებულმა გუნდმა.
- 25 მაისი –„სენაკი არტ ფესტივალი–2023"–ის ფარგლებში, გალა–კონცერტი გაიმართა.გალა კონცერტზე მონაწილეობა ლაურეტის წოდების მოსწავლეებს ერგო.მონაწილე მოსწავლეები, ფესტივალში წარმატებული მონაწილეობისთვის, სიგელებით და საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ,ხოლო ტიტული „ფესტივალის აღმოჩენა" წილად ხვდა გიტარისტთა დუეტს.
- 30 მაისიდან – 30 ივნისის ჩათვლით – სამუსიკო სკოლაში, პედაგოგების 15 საკლასო და მოსწავლეთა სოლო კონცერტები ჩატარდა. 1 ივნისი – ბავშვთა დაცვის დღეს მიეძღვნა სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული კონცერტი. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს სამუსიკო სკოლის შეღავათის პროგრამის მქონე და პროექტის – „საკვირაო სკოლის" მოსწავლეებმა.
- 10 ივნისი – „დემოსის" ინიციატივით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და ხელოვნების ცენტრის მხარდაჭერით, სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში, ქართული სიმღერების VII კონკურს–ფესტივალის – „სხვა საქართველო სად არის", პირველი რეგიონული ტური ჩატარდა.
- 22 ივნისს, ქალაქ მარნეულში, ქართული სიმღერების რიგით VII კონკურს–ფესტივალის – „სხვა საქართველო სად არის" დასკვნითი ტური გაიმართა.
- 29 ივნისი – ქალაქ მარნეულში, ქართული სიმღერების VII კონკურს–ფესტივალის – „სხვა საქართველო სად არის" გალა კონცერტი ჩატარდა. საესტრადო განყოფილების მოსაწავლემ, ნომინაციაში – „სოლოს სიმღერა" – III ასაკობრივ კატეგორიაში, პირველი ადგილი მოიპოვა და სიმბოლური საჩუქრები მიიღო. გოგონათა ვოკალურ ანსამბლს, საესტრადო

განყოფილების მოსწავლეს და ხელოვნების ცენტრის გაერთიანებულ გუნდს, ფესტივალში წარმატებული მონაწილეობისთვის, დიპლომები გადაეცათ.

- 6 ივლისი – ბათუმის ხელოვნების ცენტრში, საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის ინიციატივით, ბავშვთა და მოზარდთა ხალხური შემოქმედების XXX საერთაშორისო ფესტივალი – „ჩემი ლამაზი ქვეყანა – ბათუმი 2023" ჩატარდა.ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს:ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის ვოკალური განყოფილების და საორკესტრო/ვიოლინოს 6 განყოფილების მოსწავლეებმა. ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს, ფესტივალში წარმატებული მონაწილეობისა და საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობისათვის, ლაურეატის წოდება მიენიჭათ.
- 9 ივლისი –ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირის „ჰარმონია" და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, კლასიკური მუსიკის ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა III საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი – „ბორჯომი 2023" ჩატარდა მონაწილეობა სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საორკესტრო/ვიოლინო/ განყოფილების მე-II კლასის მოსწავლემ მიიღო და მან პირველი ადგილი და ლაურეატის წოდება მოიპოვა.
- 14 ივლისი –ნოდარ დუმბაძის IV საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში, ჩოხატაურის კულტურის სასახლეში, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა წარადგინა სპექტაკლი „HELLADOS- გაკვეთილი“. სპექტაკლში სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებთან ერთად მონაწილეობდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები. მონაწილეებს გადაეცათ ნოდარ დუმბაძის ფესტივალის სპეციალური სიმბოლო და დიპლომები.
- 1 აგვისტოს- რეგიონული თეატრების IX საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში სპექტაკლის „რომეო და ჯულიეტა“ პრემიერა შედგა. სპექტაკლში სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის პედაგოგები და ახალგაზრდა მუსიკოსები მონაწილეობდნენ.
- 15 სექტემბერი – ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით, სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა და საფორტეპიანო, საესტრადო, ფოლკლორული, გიტარისა და ვიოლინოს განყოფილებების მოსწავლეთა მონაწილეობით – კონცერტი გაიმართა.

- 6 ოქტომბერი – ხელოვნების ცენტრის ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის საკონცერტო დარბაზში, წმინდა ალექსი სენაკელის (შუშანია) დაბადებიდან 171 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა, საესტრადო განყოფილების მოსწავლეებმა, გოგონათა კვარტეტმა, ანსამბლებმა – „გოგალაიმ" და „მორდუმ".
- 13 ოქტომბერი –ქ. ახალციხეში, ქართული სიმღერის ფესტივალ-კონკურსის – „სხვა საქართველო სად არის“ – გამარჯვებულებისა და ლაურეატების მონაწილეობით, გალა კონცერტი გაიმართა. მასში მონაწილეობა სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საესტრადო განყოფილების მოსწავლეებმა და გოგონათა ვოკალურმა კვარტეტმა მიიღეს.
- 26 ოქტომბერი – სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით პროექტის-„ჩემი პირველი კომპიუტერი" ფარგლებში, წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოების ცერემონიალი ჩატარდა. ღონისძიების საკონცერტო ნაწილში მონაწილეობა ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საესტრადო განყოფილების მოსწავლეებმა მიიღეს.
- 30 ოქტომბერი –ხელოვნების ცენტრის ორგანიზებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში, მასწავლებლის ეროვნული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. კონცერტზე მონაწილეობა ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა მიიღეს.
- 12 ნოემბერი – „ეგრისობის" სახალხო დღესასწაული, რომელიც პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში ჩატარდა ჩართული იყო ხელოვნების ცენტრის სამუსიკო და სამხატვრო სკოლები. მოეწყო ჩირების ნაირსახეობა, ნახატების გამოფენა, ხატვის მასტერკლასები, ცენტრთან არსებული ფოლკლორული ჯგუფის „მორდუ“, გიტარის ჯგუფის და ანსამბლი „გოგალაის“ კონცერტი;
- 4 დეკემბერი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დღის ცენტრ „ლაზარე-2015“-ში,ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ და თანატოლებს დღე გაულამაზეს.
- 15 დეკემბერი – სამუსიკო სკოლაში ეტიუდების შიდასასკოლო კონკურსი ჩატარდა.მონაწილეობა 40-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო. 24 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,ილია მეორის აღსაყდრების 46-ე წლისთავის აღსანიშნავად,პედაგოგი-გრიალა სამინავას ხელმძღვანელობით ჩატარდა პროექტ- გაკვეთილი „ ჩვენი პატრიარქი".
- 25 დეკემბერს, ხელოვნების ცენტრში, ახალი 2024 წლისადმი მიძღვნილი საახალწლო კონცერტები დაიწყო.

- 26 დეკემბერს, საახალწლო კონცერტში მონაწილეობა სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო, საორკესტრო(ვიოლინო,ფლეიტა) და საესტრადო განყოფილებების, ხალხურ საკრავთა ჯგუფი ,,მორდუ" და გიტარის ჯგუფის მოსწავლეებმა მიიღეს.
- 27 დეკემბერს, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის ს.ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში საახალწლო კონცერტების მორიგი დღე გაიმართა. კონცერტის დასასრულს, სამუსიკო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის კლარა კოდუა-წერეთლის სახელობის საფორტეპიანო ეტიუდების ტრადიციულ კონკურსში მონაწილეობისათვის, რომელიც ჩატარდა 16 დეკემბერს, 40 მონაწილე მოსწავლეს I, II და III ადგილის დიპლომები გადაეცათ. საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლე, საორკესტრო/ვიოლინო/ განყოფილების მოსწავლე, ლიკა კორსავა წარმატებული მონაწილეობისათვის დიპლომით დაჯილდოვდა. 8 დეკემბერს, სენაკში, სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე საახალწლო ნაძვის ხის საზეიმო ანთების ღონისძიება და გალა კონცერტი გაიმართა. აღნიშნულ კონცერტში მონაწილეობა ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის გოგონათა ტრიომ, ვიოლინოთა ანსამბლმა და ტრიომ,გიტარისტთა და ხალხურ საკრავთა ჯგუფმა, ვოკალური განყოფილების სოლისტებმა და ანსამბლმა ,,გოგალაიმ" მიიღო. თავდაცვის სამინისტროს 2023 წლის საახალწლო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის ყველა მონაწილეს სიგელი გადაეცა.
- 31 დეკემბერს, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით საახალწლო ღონისძიება გაიმართა. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საესტრადო და ვოკალური განყოფილების,ვიოლინოს კლასის მოსწავლეებმა მიიღეს. - მასტერკლასი
- 23 მაისი - სენაკის X მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლაში, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებულმა პროფესორმა, თამარ ბულიამ, მასტერკლასი ჩაატარა. 24 მაისი - ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლაში, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ბათუმის კონსერვატორიის

ასოცირებულმა პროფესორმა, ირინა ხერჟიმ მასტერკლასი ჩაატარა. - სასწავლო გეგმით/პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობები 25 თებერვალი - სკოლაში გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა საგამოცდო პროგრამების მოსმენა და ჩატარდა.

- 1 მარტიდან - სკოლაში ჩატარდა, სასწავლო წლის ll სემესტრის ჩათვლა.
- 7 მარტი - ვიქტორინა -კონკურსი ჩატარდა სკოლის პირველი და მეორე კლასელთათვის ,სადაც მოსწავლეებმა უპასუხეს მასწავლებლის მიერ დასმულ საინტერესო შეკითხვებს და შეავსეს კროსვორდები. შეფასდა მოსწავლეთა მომზადების დონე და პედაგოგის მიერ გაწეული მუშაობა. ვიქტორინა -კონკურსი ჩატარდა სამუსიკო სკოლის პირველი და მე-II კლასელთათვის.
- 26 მარტი - სამუსიკო სკოლის მცირე დარბაზში გაიმართა საორკესტრო განყოფილების (ვიოლინო)პედაგოგის, შორენა ზვიადაძის მეთოდური ღია გაკვეთილი - ,,ვიოლინოზე დაკვრის სირთულეები, შესრულების ტექნიკა, ბგერის დინამიკა და სხვადასხვა სირთულეები".
- 12 აპრილი - მე-lll და მე-lV კლასელთა ტრადიციული ვიქტორინა ჩატარდა.
- 23 აპრილი - საორკესტრო განყოფილების, სასულე- ჩასაბერი ინსტრუმენტების, ფლეიტა და საქსაფონის პედაგოგმა, თენგიზ გვენეტაძემ ღია გაკვეთილი ჩაატარა თემაზე: ,,ფლეიტის ისტორია და სწავლების სირთულეები საწყის ეტაპზე".
- 29 აპრილი - სკოლაში,სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული , გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა საგამოცდო პროგრამების lll მოსმენა ჩატარდა.
- 12 ივნისის - სკოლაში, მუსიკის თეორიულ დისციპლინებში, V-VI კლასელთათვის, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ვიქტორინა ჩატარდა.
- 14 და 15 ივნისს, სკოლაში, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული l კლასის მოსწავლეებისთვის კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები, საკრავებში,საესტრადო და ხალხურ სიმღერებში ჩატარდა.
- 29 ივნისი - სამუსიკო სკოლის V, VII, IX კლასების მოსწავლეთათვის ჩატარდა გამოსაშვები გამოცდები მუსიკალურ თეორიულ დისციპლინებში: სოლფეჯიოსა და მუსიკის ლიტერატურაში
- 15 ნოემბერი - სკოლაში, ღვაწლმოსილი პედაგოგის, კლარა კოდუა -წერეთლის ხსოვნის აღსანიშნავი ტრადიციული, ყოველწლიური საფორტეპიანო ეტიუდების შიდასასკოლო კონკურსის მოსამზადებლად, ჩატარდა ღია გაკვეთილები ფორტეპიანოში.
- 22 ნოემბერი - სკოლაში ჩატარდა პედაგოგთა: მარინე ბერიშვილის და რუსუდან მილიუტინის ღია გაკვეთილები ფორტეპიანოში, რომელიც ჩატარდა ღვაწლმოსილი პედაგოგის, კლარა კოდუა-წერეთლის სახელობის ტრადიციული შიდასასკოლო ეტიუდების კონკურსის მოსამზადებლად.
- 22 ნოემბერი - ხელოვნების ცენტრის ინიციატივით, სამუსიკო სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგების ჩართულობით, ჩატარდა პროექტ-გაკვეთილი - ,,ქართული საეკლესიო მუსიკის საფუძვლები და მისი ისტორია". პროექტ-გაკვეთილს, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის პედაგოგი, გრიალა სამინავა უძღვებოდა.პროექტის ფარგლებში, შესრულდა ქართული საეკლესიო საგალობლები.

**სტრუქტურული ერთეული- სამხატვრო სკოლა**

სამხატვრო სკოლა ფუნქციონირებს ქ.სენაკში, რუსთაველის ქ.#-152-ში, I სართულზე, რომელსაც გააჩნია საგამოფენო სივრცე და შესაბამისი სამუშაო ოთახები. სამხატვრო სკოლაში დასაქმებულია 9 ადამიანი. სკოლაში ირიცხება 96 – მოსწავლე. სწავლის უფლებით სარგებლობენ 9 (ცხრა) წლის ასაკიდან. დანერგილია მშობელთა მხრიდან თანადაფინანსების სისტემა. სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს. სკოლაში ისწავლება: ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, ქანდაკება, საგანი შერჩევით, დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნება, მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორია, გრაფიკა, ძერწვა, კომპოზიცია. • სკოლაში ფუნქციონირებს კონტინგენტის მისაღები, კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების/ჩათვლები ჩამტარებელი კომისიები. სამხატვრო სკოლაში ეწყობა შიდა და საკლასო გამოფენები, გაკვეთილ-პლენერები. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ ადგილობრივ, რეგიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებში. • სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო გაკვეთილების ცხრილი, სემესტრიდან-სემესტრამდე მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად და ჯგუფურად, პედაგოგების მეთვალყურობის ქვეშ და სემეტრის ბოლოს ეწყობა ნამუშევრების გამოფენა. მოქმედებს სოციალური შეღავათების პროგრამა.

**სამხატვრო სკოლაში განხორციელებული საქმიანობები:**

- 27 იანვარი – მხატვართა შემოქმედებაში დამკვიდრდა ღია ცის ქვეშ,ანუ პლენერზე ხატვა. სამხატვრო და საკვირაოს სკოლის მოსწავლეებს გასვლითი ღია გაკვეთილი, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ქალაქის სკვერში,ღია ცის

  ქვეშ ჩაუტარდათ.
- 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების 78 წელთან და ევროპის დღესთან დაკავშირებით თემატური ნახატების გამოფენა მოეწყო. 26 მაისი – სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ნახატების გამოფენა მოეწყო.
- 1 ივნისი – ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით, სამხატვრო სკოლაში მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრების გამოფენა; ქალაქის ცენტრალურ პარკში – პლენერი, სახეზე ხატვა, ასფალტზე ხატვა.
- 18 ივნისი –საქართველოს ხელოვანთა. კავშირი-,,ხელოვნები მომავლისთვის", ,,მომავლის ვარსკვლავები", ქვეყნის მასშტაბით, უკვე 16 წელია ატარებს სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების ფესტივალ-კონკურსს. სახვითი ხელოვნების, დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით, წელს, პირველად, შესარჩევ ტურში, მონაწილეობა ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლის მესამე კლასის მოსწავლემ და მას პრიზიორის ლაურეატის წოდება მიენიჭა და დიპლომი გადაეცა.
- 24-26 ივნისი სამხატვრო სკოლაში, გამოსაშვები/მეოთხე კლასის მოსწავლეთა გამოცდები დასრულდა. 1 ივლისი -სამხატვრო სკოლის მოსწავლეებისთვის, საგანმანათლებო-შემეცნებითი ტური ჩატარდა,რომლის მიზანია ცნობილი ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა, ხელოვნების, არქეოლოგიური ძეგლების დათვალიერება და შედეგად, მოსწავლეთა ცოდნის ამაღლება.სამხატვრო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები ვანის არქეოლოგიურ მუზეუმს ესტუმრნენ, რომელიც კავკასიის მასშტაბით, ეს ერთ-ერთი პირველი მუზეუმია ნაქალაქარზე. ის იმერეთში, რიონის მარცხენა სანაპიროზე, ქალაქ ვანში ბუნებრივ ბორცვზე მდებარეობს.
- 15 სექტემბერი -ახალ სასწავლონ წელთან დაკავშირებით, ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით, სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.
- 6 ოქტომბერი – სტომატოლოგიური კლინიკის ,,სენადენტის" ორგანიზებით ქალაქში ჩატარდა ,,ღიმილის დღე",სადაც ჩართული იყო ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები და მათი ჩართულობით მოეწყო ასფალტზე და სახეზე ხატვა, გამოფენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები.
- 12 ნოემბერი -,,ეგრისობის" სახალხო დღესასწაულზე სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა.
- 8 დეკემბერი – მხატვრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით,სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.წელს პირველად, სამხატვრო სკოლის მოსწავლეს,ევა კერძაიას მუნიციპალურ,რესპუბლიკურ და შიდა სასკოლო აქტივობებში მონაწილეობისთვის სიგელი გადაეცა.
- 28 დეკემბერი – ცენტრის სამხატვრო სკოლაში საახალწლო ნახატების გამოფენა ჩატარდა. სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა ახალი წლის თემაზე შექმნეს ნახატები,ნაძერწები და პედაგოგებმა საკლასო ოთახებში გამოფინეს.
- **პროექტი: ,,ხელოვნების საკვირაო სკოლა".** პროექტის მიზანია: ხელოვნების სწავლება შემოქმედებითობის, კომუნიკაციის და აღთქმის მიმართულებით. სადაც ხელი ეწყობა მოსწავლეების შემოქმედებითი, სააზროვნო, პრაქტიკული და საკომუნიკაციო უნარების განვიათრებას. პროექტში ჩართულია 120 მოსწავლე. (სამუსიკო მიმართულება-96, სივრცითი და გამოყენებითი ხელოვნება-24). ტარდება გაკვეთილები, ნახატების გამოფენები, პლენერები. ისწავლება მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა და სიმღერა, ხაზვა, ხატვა. მოსწავლეები მონაწილეობენ ცენტრის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. პროექტის მონაწილეები დაინტრესების შემთხვევაში, უკვე მომზადებულები ირიცხებიან სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში.
- გაკვეთილი: **,,არტ-ნუვო" ჩატარდა. პროექტი ,,** საგუნდო სიმღერის პოპულარიზაცია და მხატვრულ-მუსიკალური უნარების გაძლიერება".

8) კულტურული ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 04)

კულტურული ღონისძიებების პროგრამაზე (პროგრამული კოდი 05 02 04) გამოყოფილი იქნა 803,1 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 523,7 ათასი ლარით, რაც გეგმის 65,2%-ია.

პროგრამის ფარგლებში ჩატარდა:

- სენაკის სამხატვრო გალერიის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა საბჭოთა ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთათვის, გაიმართა თომა ჩაგელიშვილის ფილმის-,,საქართველოს ოკუპაცია" ჩვენება, სადაც დეტალურად იყო გადმოცემული ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოს ანექსია. კვირეულის ფარგლებში ახალგაზრდეს დაურიგდატ საინფორმაციო ბუიკლეტები;
- ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 79 წლისთავს მიეძღვნა ღონისძიებათა კვირეული, რომელიც გაიმართა ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლაში, ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და სენაკის მხარეტმცოდნ თეატრის დღეს, ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 84 წლისთავის და საბჭოთა ტერორს შეწირული ქართველის საზოგადო მოღვაწეების

ცხოვრებას, საბჭოთა ოკუპაციიის პირდაპირ აღმოჩენილი ქართული თეატრის ისტორიის ტრაგიკულ ამბებს მეძღვნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ ,,თბილისის განათლებისა და კულტურის ცენტრის" ერთობლივი პროექტის ფარგლებში გამართული დოკუმენტური ფილმის-,,სანდრო ახმეტელი-135" ჩვენება, რომელიც გაიმართა 2023 წლის 31 მარტს სენაკის აკაკი ხორავას სახელობია სახელმწიფო დრამატულ თეატრში;

- 3 მარტს, დედის დღე აღინიშნა-ახლად დაბადებული ჩვილების დედებს კლინიკა ,,სენადენტი"-ში სამარხსოვრო საჩუქრები გადაეცა.
- 8 მარტს, ,,ქალს-გაზაფხულს"-აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ქალებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, წამყვანი ზურა ბალანჩივაძე, მუსიკალური გაფორმება ანსამბლი ,,შვიდკაცა".
- ლასდო გუდიაშვილის ნახატის ,,ზეიმი ქალაქში", ქ.თბილისიდან ტრანსპორტირება და სამხატვრო გალერეაში განთავსება განხორციელდა.
- 27 აპრილს ,,სენაკის ხელოვნების ცენტრი"-ს სამუსიკო სკოლის ს.ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობითა და საქართველოს საგუნდო საზოგადოების სამეგრელოს ფილიალის ინიციატივით, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VII ეროვნული კონკურსის პირველი შესარჩევი ტური გაიმართა, სადაც ადგილობრივ საგუნდო და ხალხურ კოლექტივებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ რეგიონის ანსამბლები;
- ვირტუოზი გიტარისტის, სამუსიკო სკოლის პედაგოგის, გოჩა ჯგერენაიას სოლო კონცერტი, რომელიც გაიმართა 5 მაისს სენაკის აკაკი ხორავას სახელობია სახელმწიფო დრამატულ თეატრში;
- 15 მაისიდა 25 მაისის ჩათვლით სენაკის აკაკი ხორავას სახელობია სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდა კლასიკური მუსიკის სენაკის მე-10 საერთაშორისო ფესტივალი-,,სენაკის არტ ფესტივალი", რომელიც სენაკში კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის პატრონაჟითა და მსოფლიოში გამოჩენილი პიანისტის, ვალერიან შიუკაშვილის ორგანიზებით იმართება.
- 26 მაისს, განხორციელდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა, სხვადასხვა სახის გასართობი შშეცნებითი ღინისძიებები, გალა კონცერტი ცენტრალურ მოედანზე და ფოიერვერკი.
- აკაკი ხორავს სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდა-შემოქმედებითი მუსიკაური საღამო ,,ქუჩის მუსიკოსები და მეგობრები"-ის მონაწილეობით.
- 28 მაისს, დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სცენაზე გაიმართა მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია-,,ორნი აქა იქ' პრემიერა.
- ივნისს გაიმართა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კომპლექსური ღონისძიებები, რომლის ყველაზე სანახაობითი ნაწილი იყო სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელთა და მათ აღმზრდელთა გალა-კონცერტი, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა.
- საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სენაკის ორგანიზაციის ორგანიზებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სენაკში ,,ვეფხისტყაოსნის" დღე აღინიშნა.
- აგვისტოს თვეში საზეიმოდ გაიხსნა რეგიონალურ თეატრების IX საერთაშორისო ფესტივალი, სენაკის აკაკი ხორავს სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატულ თეატრში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სენაკისა და ფოთის მერიების თანადაფინანსებით. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში სპექტაკლით ,,რომეო და ჯულიეტა"(რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა) დაიწყო რეგიონალური თეატრების IX საერთაშორისო ფესტივალი. 3 აგვისტოს სენაკელმა მაყურებელმა იხილა ნოდარ დუმბაძის სახელობისმოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლი,,ოტელო"; 4 აგვისტოს კი ფესტივალის კი ფესტივალის სენაკის ნაწილი დაიხურა ირანის დასის სპექტაკლით ,,კორიონალუსი".

●25 ოქტომბერს მოსწავლე-ახალგაზრდობის და კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში სენაკის საჯარო სკოლების მე-10 კლასელ 47 წარმატებულ მოსწავლეს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ,,ჩემი პირველი კომპიუტერი" საზეიმო ვითარებაში საჩუქრად გადაეცა კომპიუტერები, საკონცერტო ნაჭილში, რომელიც ორგანიზებული იყო სენაკის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ, მონაწილეობას ღებულობდნენ ხელოვნების ცენტრის მოსწავლეები.

●25 ოქტომბერს არასამთავრობო ორგანიზაციამ ,,აერიანმა", რომელიც სენაკში წარმოადგენს ინგლისურენოვან ,,საკვირაო სკოლას" კემბრიჯის მიმართულებით, სენაკის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მხარდაჭერით სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ინგლისურენოვანი მიუზიკლის ,,მერი პოპინსის" წარმოდგენა.

●30 ოქტომბერს მასწავლებლის ეროვნული დღე პირველად აღინიშნა სენაკის მუნიციპალიტეტში, საზეიმო კონცერტზე მაყურებლის წინაშე წარსდგა ქართველი შემსრულებელი ნიკა სებისკვერაძე ბენდტან ერთად. საღამოს უძღვებოდა
მსახიობი და ტელეწამყვანი, კახა მიქიაშვილი.

●პროექტი-,,საბავშვო არქეოლოგია", რომელიც თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებულია, რადგან საქართველოს მაშტაბით ის მხოლოდ ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ ნაკრძალში და დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ ნაკრძალში ხორციელდება საგანგებოდ მოწყობილ ველზე, რაც სასწავლო-შემეცნებით(ადაპტირებულ) არქეოლოგიურ გათხრებს გულისხმობს. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ არქეოლოგიის საველე საქმიანობის სპეციფიკას და ჩამოუყალიბდეთ ამ საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. პროექტი მიმდინარებდა 3 ნოემბრიდან 20 ნოემბრისჩათვლით და მასში მონაწილეობა მიიღო ქალაქის საჯარო და კერძო სკოლების 225-მა მეშვიდე კლასელმა. ყველა მონაწილეს გადაეცა ,,ნორჩი არქეოლოგის" სერთიფიკატი და საველე დღიური.

●მურმან ჯინორიას შემოქმედებითი საღამო ჩატარდა აკაკი ხორავას სახელმწიფო დრამატულ თეატრში , სადაც წამყვარი გახლავთ ნიკა წულუკიძე, ხოლო მუსიკალური აკომპანიმენტი ზ.ფალიაშვილის თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის პირველი მევიოლინე ლელა მჭედლიძე, პიანისტი ნიკა ნიკვაშვილი.
კულტურის ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობა: დაფინანსდა, აკაკი ხორავას სახელმწიფო დრამატული თეატრში დადგმული სპექტაკლი ,,რომეო და ჯულიეტა" და ,,ჩიპოლინო".

●ეგრისობის ღონისძიებასთან დაკავშირებით, რომელიც ჩატარდა ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ მუზეუმ ნაკრძალის ტერიტორიაზე,. მოეწყო შემდეგი აქტივობები: გასტრო მოგზაურობა ,,ისტორია თეფშზე", ესმა კუნჭულია საავტორო პროექტი ამბავი ქართულ ყველზე; ანა მიქაძე ჩიკვაიძეს პროექტი; მერის სათათბირო ორგანო-ახალგაზრდული საბჭო ,,იმოგზაურე წარსულში", საგანმანათლებლო აქტივობები სამახსოვრო საჩუქრები; მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის შემოდგომის კუთხე; ადმინისტრაციული ერთეულების საერთო მეგრული ოდა; ადგილობრივი ჩამოსული მეწარმეების გამოფენა-გაყიდვა; ,,ქართული ჭიდაობა"; საჯარო სკოლების გამოფენები; შოთა მესხიას სახელობის პროფესიული სასწავლებლის საგამოფენო სტენდი; ხელოვნების ცენტრის საგამოფენო ჩვენებები, მუსიკალური ნომრები; საპატიო სენაკელების დაჯილდოება; გალა კონცერტი და ფეიერვერკი.

●ნაძვის ხის საზეიმო ანთების ღონისძიების ფარგლებში გაიმართა გალა კონცერტით. მოეწყო საბავშვო
სივრცეები და თოვლის ბაბუის სახლი, სადაც ასევე მონაწილეობდნენ ანიმაციური გმირები. ბავშვებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები, ჩატარდა სანტა კლაუსის და მოსიარულე ორკესტრის ფლეშმობი; ადგილზე შესაძლებელი იყო ცხელი შოკოლადების, გლინტვეინის და ორცხობილების დაგემოვნება. ახალგაზრდული საბჭოსს მიერ განხორციელდა გამოფენის ორგანიზება-შექმენი კრეატიული ნაძვის ხე; გამოყოფილი იყო სივრცე და ღონისძიება დასრულდა ფოიერვერკით.

### თ) კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 06)

კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამაზე (პროგრამული კოდი 05 02 06) გამოყოფილი იქნა 434,4 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 423,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,%-ია.

განხორციელდა კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია, კერძოდ:

- მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია;
- მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია

### ი) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე (პროგრამული კოდი 05 03) გამოყოფილი იქნა 32,6 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 24,3 ათასი ლარით, რაც გეგმის 75,3%-ია.

ახალგაზრდული პროგრამების განსავითარებლად 2023 წელს დიდი ნაბიჯები გადაიდგა:

- მუნიციპალიტეტის მერიის და მშვიდობისა და განვითარების აკადემიის ერთობრივი მუშაობით 2023 წელს პირველად სენაკის მუნიცპალიტეტში შეიქმნა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი რომლის მიზანია მხარი დაუჭიროს მუნიციპალიტეტიში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევებისა და სირთულეების დაძლევას და ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების განვიტარებას და კეთილდღეობას; განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ხედვას, საქმიანობას პრიორიტეტული მიმართულებებს, სერვისების პროგრამების და ღონისძიებების დაგეგმვას. ასევე, შეიქნა და გაიწერა განსახორციელებელი გეგმა 2023 წლიდან 2026 წლამდე.

- დამტკიცდა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო-..ახალგაზრდული საბჭო", ოთხი თვის განმავლობაში, საბჭოს 100-მდე სენაკელი ახალგაზრდა მოხალისე შემოუერთდა. მერის სათათბირო ორგანო ახალგაზრდული საბჭო ჩართულია ადგილობრივ თვითმმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფით, ასევე სხვასდასხვა სახის პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებაში. საბჭოს სტრუქტურა დაიყო შემდეგნაირად: განათლების, კულტურის, სპორტის, გარემოს დაცვის, ტურიზმისს, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური საკითხების, პროექტებისა და მეწარმეობის კომიტეტებად.სკოლებში პირველად ჩატარდა ინფორმაციული შეხვედრები. საბჭოს ,,კინო მოყვარულთა კლუბის" წევრების ორგანიზებით ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მხატვრული ფილმის ჩვენება გაიმართა. წარმატებულად შედგა საბჭოს პირველი ეგრისობის ღონისძიება, დაგეგმილ აქტივობებში აქტიურად ჩაერთნენ ახალგაზრდები, მოეწო ტრადიციული სივრცე ,,იმოგზაურე წარსულში"-ინსტალაცია, ფოტო კონკურსი გამარჯვებულებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები, ბრენდირებული მაისურები, ჩანთები,სამაჯურები, 10 ბილეთი აკაკი ხიორავას სახელმწიფო დრამატული თატრის სპექტაკლზე. საბჭოს წევრები გაცნობითი ხასიათის პრეზენტაციით წარსდგნენ ეკოკლუბ ,,მწვანე ერთობის" წინაშე, შეთავაზებული საბავშვო ბაღის აქტივობა ,,მწვანე ერთობის" წარმომადგენლებმა წარმატებით განახორციელეს. ახალგახრდული საბჭოს ორგანიზებით საკალათბურთო ტური 3X3-ზე გაიმართა. ჩატარდა ტრენინგები ,,ძალადორივი კომუნიკაცია" სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჟიული შარტავას სახელობის სხდომათა დარბაზში. საბჭოს ორგანიზებით სკოლებს შორის მოეწყო ,,კრეატიული ნაძვის ხის" კონკურსი. ზუგდიდის ახალგაზრდულ სათათბიროსთან ერთად 18 სოციუალურად დაუცველ ბავშვს საახალწლო საჩუქრები გადაეცათ.

ასევე , 2023 წელს ჩატარდა/უზრუნველყოფილი იქნა:

- ახალგაზრდებისათვის სკოლის დამთავრების ღონისძიება-საზეიმო კონცერტი ადგილობრივი სკოლების და მოწვეული მომღერლების მონაწილეობით.
- 7 ახალგაზრდა გაემგზავრა საბერძნეთში კუნძულ კრეტაზე საზაფხულო ბანაკში, სსიპ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტოსა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობით.

### კ) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 05)

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობაზე (პროგრამული კოდი 05 05) გამოყოფილი იქნა 100,0 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 100,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 100%-ია.
განხორციელდა სსიპ სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის სუბსიდიური დაფინანსება, ეკლესიისათვის მიმდინარე ხარჯების დასფარევად.

### ლ) საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 06)

საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამაზე (პროგრამული კოდი 05 06) გამოყოფილი იქნა 50,0 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 50,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 100%-ია.
განხორციელდა შპს საინფორმაციო ცენტრი სუბსიდიური დაფინანება.

## 6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე (პროგრამული კოდი 06 00) გამოყოფილი იქნა 2002,5 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 1991,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,5%-ია.




| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | 2023 წლის გეგმა | 2023 წლის ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| **06 00** | **მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **2002,5** | **1991,6** | **99,5** |
| **06 01** | **ჯანმრთელობის დაცვა** | **872,7** | **869,6** | **99,6** |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 262,7 | 260,7 | 99,2 |
| 06 01 02 | ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსების და თანადაფინანსების პროგრამა | 503,3 | 503,1 | 100,0 |
| 06 01 03 | მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება | 103,2 | 102,3 | 99,1 |
| 06 01 04 | დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა | 3,5 | 3,5 | 0,0 |
| **06 02** | **სოციალური დაცვა** | **1129,8** | **1122,1** | **99,3** |
| 06 02 01 | მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | 370,0 | 365,6 | 98,8 |
| 06 02 02 | მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა | 239,3 | 239,3 | 100,0 |
| 06 02 03 | ბავშვებზე ზრუნვის პროგრამა | 21,9 | 21,9 | 100,0 |
| 06 02 04 | კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება | 15,8 | 14,1 | 89,2 |
| 06 02 05 | აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია | 66,1 | 66,1 | 100,0 |
| 06 02 06 | ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დახმარების პროგრამა | 28,5 | 28,5 | 100,0 |
| 06 02 07 | სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის ღონისძიებების გატარების პროგრამა | 38,3 | 38,3 | 100,0 |
| 06 02 08 | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა | 119,0 | 119,0 | 100,0 |
| 06 02 09 | სოციალური ღონისძიებების პროგრამა | 41,4 | 41,4 | 100,0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 06 02 10 | თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა | 55,2 | 55,2 | 100,0 |
| 06 02 11 | სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამა | 0,0 | 0,0 | 0 |
| 06 02 12 | დღის ცენტრ აიპ "ლაზარე- 2015" თანადაფინანსება | 8,0 | 8,0 | 100,0 |
| 06 02 13 | პროექტი "საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის" თანადაფინანსება | 36,7 | 36,7 | 99,9 |
| 06 02 14 | პროექტი "ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე" თანადაფინანსება | 79,7 | 79,7 | 100,0 |
| 06 02 15 | საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ADOS -ის კვლევა დანერგვა მუნიციპალიტეტში | 10,0 | 8,3 | 83,0 |

### ა) ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე (პროგრამული კოდი 06 01) გამოყოფილი იქნა 872,7 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 869,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,6%–ია.

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სამიზნე ჯგუფი | დახმარების მისაღებად საჭირო სარეიტინგო ქულა | ფაქტიური ხარჯი (ლარი) | ბენეფიციართა რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | | | | |
| 06 01 02 | ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის თანადაფინანსების პროგრამა | სენაკში რეგისტრირებული ჯანმრთელობაგაუარესებული მოქალაქეები, სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, ონკოლოგიური ავადმყოფები, შშმ პირები | არ არის განსაზღვრული | 503 121 | 1226 |
| 06 01 03 | მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება | სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, ონკოლოგიური ავადმყოფები, შშმ პირები დიალიზით მოსარგებლეები | 70 000-მდე | 102 306 | 1073 |
| 06 01 04 | დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა | საჯარო და კერძო სკოლების პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები. | არ არის განსაზღვრული | 3500 | 874 |

ბ) მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02)

მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამაზე **(პროგრამული კოდი 06 02)** გამოყოფილი იქნა 1129,8 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 1122,1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,3%–ია.

| პროგრა მული კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სამიზნე ჯგუფი | დახმარების მისაღებად საჭირო სარეიტინგო ქულა | ფაქტიური ხარჯი (ლარი) | ბენეფიციართა რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 06 02 01 | მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | შშმ პირები, მარტოხელა ხანდაზმულები, მარტოხელა მშობლები სოციალურად დაუცველი ოჯახები | 100 000-მდე | 365 649 | 200 |
| 06 02 02 | მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა | 4 და 4-ზე მეტი (18 წლამდე) შვილიანი ოჯახები | არ არის განსაზღვრული | 239 250 | 99 |
| 06 02 03 | ბავშვზე ზრუნვის პროგრამა | ა)დედ-მამით ობოლ ბავშვები ბ)იშვიათი დაავადებების მქონე პირები გ).კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები | არ არის განსაზღვრული არ არის განსაზღვრული <65 000 -მდე | 21 917 | 37 |
| 06 02 04 | კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება | ა) გარდაცვლილ დევნილთა ოჯახები ბ) გარდაცვლილ ომის ვეტერანთა ოჯახები | არ არის განსაზღვრული | 14 100 | 46 |
| 06 02 05 | აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია | აუტიზმსპექტრის მქონე 16 წლამდე მოზარდები | არ არის განსაზღვრული | 66 055 | 22 |
| 06 02 06 | ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა | ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეები | არ არის განსაზღვრული | 28 500 | 9 |
| 06 02 07 | სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის ღონისძიებების გატარების პროგრამა | ა)უსახლკარო პირები ბ)რეინტეგრირებული ბავშვების ბიოლოგიური ოჯახები გ)ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირები | არ არის განსაზღვრული არ არის განსაზღვრული | 38 300 | 23 |
| 06 02 08 | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა | ა) გონებრივი განვითარების შეფერხების (დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა,აუტიზმი) მქონე შშმ პირები; ბ)მხედველობის პრობლემის მქონე შშმ პირები; გ) სმენადაქვეითებული შშმ პირები; | არ არის განსაზღვრული | 119 015 | 153 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06 02 09 | სოციალური ღონისძიებების პროგრამა | ა) 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეები<br>ბ) ომის ვეტერანები<br>გ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციაში მონაწილეები<br>დ)აგვისტოს ომის დროს და ISAF-მისიაში დაღუპულის ოჯახები | არ არის განსაზღვრული | 41 400 | 419 |
| 06 02 10 | თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა | თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეები | არ არის განსაზღვრული | 55 200 | 26 |
| 06 02 12 | დღის ცენტრ აიპ „ლაზარე-2015“ თანადაფინანსება | 18 წლამდე შშმ მოზარდები | არ არის განსაზღვრული | 8 000 | 15 |
| 06 02 13 | პროექტი 'საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“ თანადაფინანსება | ა)60-65 წელს წელს ზემოთ ოჯახურ მხარდაჭერას მოკლებული ხანდაზმულები,<br>ბ)განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჯგუფები | არ არის განსაზღვრული | 36 664 | 1000 |
| 06 02 14 | პროექტი „ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე“თანადაფინანსება | შინმოვლის პროგრამაში ჩართულები არიან ოჯახურ მხარდაჭერას მოკლებული ხანდაზმულები, შშმ პირები. | 70 000-მდე | 79 700 | 25 |
| 06 02 15 | საჭიროების მქონე ბავშვებისათვის ADOS-ის კვლევის დანერგვა მუნიციპალიტეტში | სპეციალური საჭიროების მოზარდები | არ არის განსაზღვრული | 8 300 | |

### გ) სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

**„შრომის ანაზღაურების“ მუხლით** საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 323478,1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3173,9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91,3%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 8,5%-ია.
**„საქონელი და მომსახურების“ მუხლით** საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 2945,0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 2659,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 90,3%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 17,1%-ია.
**„პროცენტის“ მუხლით** საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 35,0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 18,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 53,7%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0,05%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.
**„სუბსიდიების“ მუხლით** საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 9288,5 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 8733,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 94,0%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 23,3%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (საბავშვო ბაღები) – 2721,7 ათასი ლარი;
- საჯარო სკოლების დაფინანსება (ქალაქიდან ადმინისტრაციულ ერთეულში და ადმინისტრაციული ერთეულიდან პედაგოგთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა) –58,5 ათასი ლარი;

- სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა -733,7 ათასი ლარი;
- ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა -383,4 ათასი ლარი;
- სპორტული ღონისძიებების პროგრამა -3,9 ათასი ლარი;
- მოსწავლე – ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა- 842,0 ათასი ლარი;
- ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელსეწყობის პროგრამა (სამუსიკო და სამხატვრო სკოლები) – 437,5 ათასი ლარი;
- კულტურული ღონისძიებები -24,0 ათასი ლარი;
- რელიგიური ორგანიზაციის ხელშეწყობა-100,0 ათასი ლარი;
- საინფორმაციო უზრუნველყობა-50,0 ათასი ლარი;
- გარე განათების რეაბილიტცია-1169,7 ათასი ლარი;
- სასფლაოების მოვლა-პტრონობა-110,1 ათ.ლარი;
- ქლაქის დასუფთავების ღონისძიებები – 933,6 ათასი ლარი;
- ქალაქის მწვანე საფარის შექმნა და არსებულის მოვლა-პატრონობა-422,7 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება -260,7 ათასი ლარი;
- მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა-354,1 ათასი ლარი;
- პროექტი "საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის" თანადაფინანსება-36,7 ათასი ლარი;
- პროექტი "ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე" თანადაფინანსება- 79,7 ათასი ლარი;
- საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ADOS -ის კვლევა დანერგვა მუნიციპალიტეტში-8,3 ათასი ლარი;

**„გრანტების" მუხლით** საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 80,0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 80,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 0.2%-ს შეადგენს.

**„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით** საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1201,2 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1188,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,0%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 3,2%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშენელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობა(საავადმყოფო ფურცელი)-16,0 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსების და თანადაფინანსების – 503,1ათასი ლარი;
- მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება-102,3 ათასი ლარი;
- მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა -239,3 ათასი ლარი;
- ბავშვებზე ზრუნვის პროგათასი ლარი; რამა-21,9 ათასი ლარი;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება-14,1 ათასი ლარი;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია – 66,1 ათასი ლარი;
- სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის ღონისძიებების გატარების პროგრამა- 38,3 ათასი ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა – 115,7 ათასი ლარი;
- სოციალური ღონისძიებების პროგრამა -7,5 ათასი ლარი;
- თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა-55,2 ათასი ლარი;

**„სხვა ხარჯების" მუხლით** საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2348,4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 2152,4 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 91,7%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 5,7%-ია.

„სხვა ხარჯების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშენელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასათან დაკავშირებული ხარჯები 112,7 ათასი ლარი;

- სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის გადახდა 1,7 ათასი ლარი;
- მერიის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო მომსახურება 1,1 ათასი ლარი;
- ვახტანგ ჩიჩუას დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურების მიზნით ფულადი დახმარების გაცემა ოჯახზე მარინა თოდუაზე 0,5 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი 6,1 ათასი ლარი;

- სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების, ხანდაზმულებისა და შშმ პირების ოჯახებისათვის სასურსათო პროდუქტების შესყიდვა 12,3 ათასი ლარი;
- გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვა 180,2 ათასი ლარი;
- მშვიდობის 214-ში საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა 189,9 ათასი ლარი;
- ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული 3 კორპუსის რეაბილიტაცია 10,3 ათასი ლარი;
- სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით პროექტი "დამწყები მეფუტკრე" -ს ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მეფუტკრეობით დაინტერესებული მოწყვლადი კატეგორიებისათვის მეფუტკრეობასთან დაკავშირებული მომსახურეობა 1,6 ათასი ლარი;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები 189,4 ათასი ლარი;
- სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია 1320,4 ათასი ლარი;
- რეგიონის ფონდის თანადაფინანსება 3,9 ათასი ლარი;
- თბილისობა 2023-ში სენაკის მუნიციპალიტეტის მონაწილეობის მისაღებად (შემოდგომის გამოფენა და მეგრული სამზარეულოს წარდგენა) საჭირო საკვების მიწოდება 3,0ათასი ლარი;
- სხვადასხვა ღონისძიებებზე მიღწეულ წარმატებებზე გაცემულია ფულადი დახმარებები 19 პიროვნებაზე 13,5 ათასი ლარი;
- სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე მიღწეულ წარმატებებზე გაცემულია ფულადი დახმარებები 36 პიროვნებაზე -24,8 ათასი ლარი;
- ,,გოგალაის'' წევრზე ფულადი დახმარების გაწევა 3,8 ათასი ლარი;
- ანსამბლ ,,მუსიკელის' წევრზე საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრების მიზნით ე ფულადი დახმარების გაწევა-3,3 ათასი ლარი;
- დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევები 3,5 ათასი ლარი;
- ხანძრით დაზარალებულთა დახმარება 28,5 ათასი ლარი;
- 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლიბის დღესთან დაკავშირებით ერჯერადი ფულადი დახმარება 33,9 ათასი ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ბინის ქირის ხარჯი 8,0 ათასი ლარი;

| გადასახდელების სახეების დასახელება | 2023 წლის გადასახდელების შესრულება | | |
|---|---|---|---|
| | გეგმა | საკასო შესრულება | პროცენტი |
| **ხარჯები** | **19376,1** | **18006,6** | **92,9** |
| შრომის ანაზღაურება | 3478,1 | 3173,9 | 91,3 |
| საქონელი და მომსახურეობა | 2945,0 | 2659,1 | 90,3 |
| პროცენტი | 35,0 | 18,8 | 0,0 |
| სუბსიდიები | 9288,5 | 8733,7 | 94,0 |
| გრანტები | 80,0 | 80,0 | 100,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1201,2 | 1188,8 | 99,0 |
| სხვა ხარჯები | 2348,4 | 2152,4 | 91,7 |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **21002,2** | **19485,4** | **92,8** |
| **ვალდებულებების კლება** | **51,3** | **51,3** | **100,0** |
| **სულ გადასახდელები** | **40429,7** | **37543,3** | **92,9** |

### დ) 2023 წელს სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული და გადარიცხული გრანტები პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით

| ორგანიზაციული კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2023 წლის გეგმა | 2023 წლის ხარჯი | სხვაობა | შესრულება % |
|---|---|---|---|---|---|
| | **სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან გამოყოფილი გრანტები** | **16072,7** | **16000,8** | **71,9** | **99,6** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 02 01 | გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვა | 9659,4 | 9653,3 | 6,1 | 99,9 |
| 02 06 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 51,0 | 0 | 51 | 0 |
| 02 08 | სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია | 4888,0 | 4720,8 | 167,2 | 96,6 |
| 02 10 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 738,0 | 716,4 | 21,6 | 97,1 |
| 04 02 | საჯარო სკოლების დაფინანსება | 807,8 | 807,8 | 0 | 100,0 |
| 05 01 04 | სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა | 102,5 | 102,5 | 0 | 100 |

**კრედიტორული დავალიანება** 1918,3 ათ.ლარი, მათ შორის: შპს თი აი ჯი აუდიტექსკორტი 15,0 ათ.ლარი, ი/მ ,,ველოდი სანაია" 8,5 ათ.ლარი, შპს პირამიდა 12,8 ათ.ლარი, ი/მ ელდარ ჯოჯუა 2,6 ათ.ლარი, შპს ,,სარგი" 2,0 ათ.ლარი, შპს ,,ჯი–ემი" 2,2 ათ.ლარი, შპს ,,ტოტალი" 9,3 ათ.ლარი, შპს ,,ჯეო ბილდერი" 3,0 ათ.ლარი, შპს ,,ლელო" 2,0 ათ.ლარი, ი/მ ,,შოთა კოტია" 0,4 ათ.ლარი, შპს ,,ბერდე" 2,3 ათ.ლარი, შპს ,,ბილდერი" 0,4 ათ.ლარი, შპს ,,მენათი" 51,0 ათ ლარი, ი/მ ,,გამზა როყვა" 0,2 ათ.ლარი, შპს ,,ვერბალ გრუპი" 14,0 ათ.ლარი, სს არქეოპოლისი 1301,6 ათ.ლარი, შპს ,,სერვისი 2019" 4,9 ათ. ლარი, შპს ,,დელტა კონსალტინგი" 177,0 ათასი ლარი, შპს ,,თი აი ჯი აუდიტექსკორტი '' 76,8 ათასი ლარი, შპს ,,ტოკი" 1,0 ათ.ლარი, შპს ,,ბერაღი" 0,8 ათ.ლარი, შპს ,,აფო" 50,4 ათ.ლარი, შპს ,,ველმირი" 1,0 ათ.ლარი, შპს ,,მშენებელი" 1,8 ათ.ლარი, ,,კოლხიდა" 37,9 ათ.ლარი, ი/მ ფირანი ყიფშიძე 2,1 ათ.ლარი, შპს ,,თვინსი" 6,2 ათ.ლარი, შპს ,,სერვისნეტი 0,1 ათ.ლარი, სს სილქნეტი 0,8 ათ.ლარი, ი/მ ეკა გაბუნია 0,2 ათ.ლარი, ი/მ ცაცუნა ბაკურაძე 1,6 ათ.ლარი, მუნიციპალური განვითარების ფონდის გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება სასესხო ხელშეკრულება მგფ 128,4 ათ.ლარი.
**დებიტორებია:** შპს ,,თვინსი" 4,0 ათ.ლარი, შპს ,,ტაინა" 16,9 ათ.ლარი, შპს ,,მშენებელი" 23,1 ათ.ლარი, შპს ,,დინგრუპი" 10,3 ათ.ლარი, შპს ,,ინდიკო" 23,4 ათ.ლარი, შპს ,,კონტინენტალ ინვესტი" 23,3 ათ.ლარი, შპს ჯითი გრუპი 549,6 ათ.ლარი, შპს ,,კა" 2,6 ათ.ლარი,ა(ა)იპ შშმ პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაციაი 7,5 ათ.ლარი, შპს ,,ჰარმონიონ" 126,4 ათ.ლარი, ი/მ სოსო გოგია 1,9 ათ.ლარი, სულ დებიტორებია 789,0 ათ.ლარი.

ინფორმაციას თან ერთვის:

**დანართი 1**. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულება;

**დანართი 2**. გადასახდელების შესრულება ფუნქციონალურ ჭრილში;

**დანართი 3**. გადასახდელების შესრულება პროგრამების მიხედვით;

**დანართი 4**. სენაკის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების 2023 წლის მიღებული და გაწეული გადასახდელები;

**დანართი 5**. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წელს ინფრასტრუქტურული ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

**დანართი 6**. სტიქიის შედეგების (წყალდიდობის) სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით (ფიზიკურ პირებზე) გაცემული თანხების მიზნობრიობის შესახებ ინფორმაცია.